ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## სტამბოლში ქართველი ქალი დანით აჩეხეს

„მზია დუნდუა სამი თვის გასამრჯელოს ითხოვდა“



გვ.7

## 4 ნოემბრიდან

აკაკი ბელიაშვილი

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა.

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი




პარასკევი, 4 ნოემბერი, 2016 №262 (7188) ფასი: 50 თეთრი

# ჩინელებმა ქართველ მუშებს არმატურებითა და ხელკეტებით სცემეს

## პოლიციამ 3 ჩინელი დააკავა





გვ.2



„მომხდარზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს“

## „ქართულ ოცნებაში“ საპარლამენტო თანამდებობებს ვერ იყოფენ



გვ.4







ეკა ბესელია: „პარლამენტის თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძეს წარვადგენთ“

„საარჩევნო სისტემა შესაცვლელია“

## გიორგი ვაშაძე: „არ შეიძლება, საკონსტიტუციო უმრავლესობას 47%-ით იღებდე“



გვ.3

## პაატა შეშელიძე: „ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ბრალია“



გვ.6

ფრთხილად – სწრაფი სესხები!

## მომხმარებელს 300 ლარის ნაცვლად ხშირად 1.800, 2.000 ლარის დაბრუნება უწევს



გვ.6

ISSN 1987-9385

## ლევან ალაფიშვილი: პარლამენტის არჩეული პრეზიდენტი პოლიტიკის მიღმა ვერ იქნება“



გვ.5

„კონსტიტუცია გადასასინჯია, მაგრამ სისტემური მიდგომაა საჭირო“

## სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა




გვ.7

## სააკაშვილს ოდესის ოლქში გამოკითხულთა 77% არ ენდობა



გვ.4

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ჩინელებმა ქართველ მუშებს არმატურებითა და ხელკეტებით სცემეს

## „მომხდარზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებამ უნდა აიღოს“

შორენა მარსაგიშვილი

ხარაგაულის რაიონის სოფელ ზვარეში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. ჩინური კომპანიის „23-ე ბიუროს“ წარმომადგენლები ქართველ მუშებს სასტიკად გაუსწორდნენ. არმატურებითა და ხელკეტებით ნაცემი მუშები საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების განმარტებით, დაშავებულებს დაზიანებები თავის არეში აქვთ მიყენებული.

სისხლიანი დაპირისპირება 2 ნოემბრის გვიან ღამით დაიწყო. ადგილობრივების განცხადებით, ჩხუბის მიზეზი ზვარეს მოსახლეობის მიერ მოჭრილი ხის მასა გახდა.

მოსახლეობას ჩხუბი ჩინური კომპანიის მაღალი თანამდებობის პირებმა დაუწყეს. მოგვიანებით დაპირისპირებაში ჩინური კომპანიის ქართველი თანამშრომლები ჩაერთვნენ.

სიტყვიერი დაპირისპირება ძალიან მალე ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. პირველი ჩხუბი 2 ნოემბერს, გვიან ღამით მოხდა.

ამ შეტაკების შედეგად 3 ქართველი დაშავდა. ისინი საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმები ამბობენ, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ადგილობრივებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს. პოლიცია, მართალია, შემთხვევის ადგილზე მივიდა, მაგრამ რეაგირება არ მოუხდენია.

რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების წარმომადგენლების თქმით, პოლიციის წასვლის შემდეგ სიტუაცია კიდევ ერთხელ დაიძაბა. მორიგი სისხლიანი დაპირისპირება 3 ნოემბერს, გამთენიისას მოხდა, რომლის დროსაც 4 ადამიანი დაშავდა. დაზიანებები მათაც თავის არეში მიიღეს.

ახალი პროფკავშირის თავმჯდომარე ვიტალი გიორგაძემ იმ ჩინელი დამსაქმებლის ფოტოც გამოაქვეყნა, რომელიც, მისი თქმით, ქართველი მუშების ცემას ხელმძღვანელობდა.

როგორც ვიტალი გიორგაძე „ახალ თაობასთან“ საუბარში აცხადებს, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ჩინური კომპანიის წარმომადგენლები ქართველებს ფიზიკურად უსწორდებიან.

– ცოტა ხნის წინ აქ დასაქმებული მუშები გაიფიცნენ. ისინი ითხოვდნენ, რომ მათი უსაფრთხოება დაცული ყოფილიყო. ქართველ მუშებს მაშინაც დაუნდობლად, ხელკეტებით გაუსწორდნენ. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ერთი ამბავი ავტეხეთ, მივმართეთ პროკურატურასა და შსს-ს, მაგრამ მათგან რეაგირება არ ყოფილა. ამან ჩინელები კიდევ უფრო გაათავხედა. მომხდარზე პასუხისმგებლობა საქართველოს რკინიგზამ უნდა აიღოს, რადგან მან გაუფორმა კონტრაქტი ჩინურ კომპანიას, რომელიც ქართველ მუშებს მონებივით ექცევა, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ვიტალი გიორგაძე.







მისი თქმით, საქართველოს რკინიგზის ხელმძღვანელობას ძალიან ბევრი განმარტების გაკეთება მოუწევს.

– ჩვენთვის საინტერესოა, რა წერია ხელშეკრულებაში, რა წერია სატენდერო პირობებში. როგორ მოხდა, რომ ასეთი კომპანია შემოვიდა ბაზარზე და განახორციელა საქმიანობა. ეს ძალიან საინტერესოა და ამ კუთხით საქართველოს რკინიგზა პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა, – განაცხადა გიორგაძემ.

მისი თქმით, თავის დროზე ხელისუფლებას სათანადო რეაგირება რომ მოეხდინა, ჩინელები ზვარეს მოსახლეობას ცემას ვერ გაუბედავდნენ.

– ჩინელები კარგად მიხვდნენ, რომ მათ არავინ დასჯიდა. ხელისუფლებას სულ არ აინტერესებს ადამიანების ბედი. მისთვის მთავარია გვირაბის გაჭრა. როგორ მოხდება, ეს არ აინტერესებს. ხელისუფლებამ თვალი დახუჭა მუშების ცემაზე და ახლა ინვესტორი ისე გათავხედდა, რომ უკვე სოფლის მოსახლეობის შევიწროება დაიწყო, – ამბობს რკინიგზელთა ახალი პროფკავშირების თავმჯდომარე.

* * *

ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებს დემოკრატიის ინსტიტუტის თავმჯდომარე ლაშა ჩხარტიშვილიც.

მისი თქმით, უცხოელი ინვესტორები ქართველ თანამშრომლებს ხშირად მონებივით ექცევიან.

– „ჩინეთის რკინიგზის 23-ე ბიუროს“ წარმომადგენლებთან ქართველ მუშებს ადრეც ჰქონდათ პრეტენზიები. ადრეც ჰქონდა ადგილი ფიზიკურ დაპირისპირებას. ხელისუფლება ინვესტორის განაწყენებას მოერიდა და ჩინური კომპანიის მხარე დაიჭირა. ამას 2-3 ნოემბრის ინციდენტი მოჰყვა. სათანადო რეაქცია არც ამჯერად ყოფილა და, შესაძლოა, ასეთი რამე კიდევ განმეორდეს, – ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ლაშა ჩხარტიშვილი.

მისი თქმით, საქართველოს წინა ხელისუფლება ასეთი დავების დროს ყოველთვის ინვესტორს უჭერდა მხარს. მიდგომა არც „ქართულ ოცნებას“ შეუცვლია.

– სამწუხაროდ, ხელისუფლება ყოველთვის დამსაქმებლის მხარესაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე უცხოელ ინვესტორთან გვაქვს. არ შეუქმნიათ შრომის ინსპექცია. აშკარაა, თუ რატომაც უჭერს ხელისუფლება მათ მხარს. ხშირ შემთხვევაში, ისინი აქ მისი ლობირებით შემოდიან, – აღნიშნავს დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

ლაშა ჩხარტიშვილის თქმით, ხელისუფლების მხარდაჭერით გათამამებული ინვესტორები დასაქმებულების სიცოცხლეს არაფრად აგდებენ.

– საერთოდ არ არის დაცული დასაქმებულების უფლებები და მათი უსაფრთხოება. მათ ხშირად, როგორც მონებს, ისე ექცევიან, – აცხადებს ჩხარტიშვილი.

მას არ სჯერა, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება შეიცვლება, დიდად არც არასამთავრობოების იმედი აქვს და ამბობს, რომ შედეგს მხოლოდ საზოგადოების აქტიურობა გამოიღებს.

– ხელისუფლება დიდი სიფრთხილით ეკიდება ხოლმე უცხოელ დამსაქმებლებს, ხშირად ხუჭავენ თვალებს საკუთარი მოქალაქის უფლებების დარღვევაზე. სამწუხაროდ, ასევე იქცევა არასამთავრობოების დიდი ნაწილი. მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანია რელიგიური და სექსუალური უმცირესობების დაცვა, ვიდრე – ქართველი დასაქმებულის.

მათ ნაწილს არც ზვარეში მომხდარი ინციდენტი გაუპროტესტებია. არადა, აქ კარგა ხანია, რაც დაძაბულია ვითარება. ახლა ყველაფერი საზოგადოებაზეა დამოკიდებული. საზოგადოებამ უნდა გამოხატოს ამაზე პროტესტი და ხელისუფლება აიძულოს, ყველა მსგავს ფაქტზე რეაგირება მოახდინოს, – მიაჩნია დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება ცემის მუხლით მიმდინარეობს.

ხელისუფლების რეაგირების დონით უკმაყოფილოა „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია. მომხდარზე პასუხისმგებლობას ისიც საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს.

– ჩინელმა დამსაქმებლებმა ქართველ მუშებს ნაჯახითა და არმატურებით სასიკვდილოდ სცემეს! აქამდე რატომ არავინ არის დაკავებული?! არც სახალხო დამცველს ამოუღია ხმა, არც უფლებადამცველ ორგანიზაციას გაუკეთებია განცხადება! ჰო, მართლა, არც ამერიკის ელჩი შეშფოთებულა და არც ევროპა აღშფოთებულა!

ამ დროს ქართველს რომ ეცემა, სასწრაფოდ დააკავებდნენ და ციხეშიც ამოალპობდნენ. პლეხანოვზე თურქებთან ჩხუბის გამო არასრულწლოვნები რომ სასწრაფოდ დააკავეს, ეგ ხომ ყველას გვახსოვს. იცით, რატომ? იმიტომ, რომ უთავმოყვარეო სახელმწიფო გვაქვს, – განაცხადა ჯონდი ბაღათურიამ.

უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ხელისუფლებისგან სასწრაფო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

– მოვუწოდებ ხელისუფლების შესაბამის უწყებებს, დაუყოვნებლივ დაიწყოთ გამოძიება სოფელ ზვარეში მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით. ჩინური კომპანიის ხელმძღვანელმა პირებმა, რომლებიც რკინიგზაზე სამუშაოებს ახორციელებენ, ქართველ მუშებს ნაჯახებითა და არმატურებით სასიკვდილოდ სცემეს და მძიმე დაზიანებები მიაყენეს.

გაუგებარია, ამ წუთამდე რატომ არავინაა დაკავებული. დარწმუნებული ვარ, ქართველს რომ ეცემა ჩინელი მუშა, სასწრაფოდ დააკავებდნენ და ციხეშიც ამოალპობდნენ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ნიკოლოზ მჟავანაძე.

მისი თქმით, მისი ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს, რომ საქართველოში საქართველოს მოქალაქეების უფლებები დაცული იყოს.

– ჩვენ არ დავუშვებთ, რომ საქართველოში ქართველი კაცი იყოს დაჩაგრული და დაბეჩავებული. უფლებადამცველთა გაერთიანება მოუწოდებს ხელისუფლებას, დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში დამნაშავე პირები ქართველ მუშებზე განხორციელებული თავდასხმის გამო, – ამბობს მჟავანაძე.

„23-ე ბიუროს“ ერთ-ერთი თანამშრომლის თქმით, ქართველებსა და ჩინელებს შორის მომხდარი ინციდენტისას რამდენიმე ჩინელიც დაშავდა, თუმცა – უმნიშვნელოდ.

– კომპანიის დაახლოებით ოთხ ჩინელ თანამშრომელს ხელისა და ფეხის უმნიშვნელო ტრავმა ჰქონდა და, როგორც ვიცი, ისინი პოლიციამ დაკითხვაზე წაიყვანა, – განაცხადა ჩინური კომპანიის დაცვის თანამშრომელმა გიორგი ლუტიძემ.

* * *

შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, სხეულის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების ბრალდებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამი მოქალაქე: 1983 წ. დაბადებული ჭ.ლ., 1983 წელს დაბადებული ჩ.ჟ. და 1984 წელს დაბადებული ჰ.ჩ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნულმა პირებმა მიმდინარე წლის 3 ნოემბერს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, საქართველოს 4 მოქალაქეს ბლაგვი საგნით სხეულზე სხვადასხვა სახის დაზიანება მიაყენეს.

სამართალდამცველებმა სამივე ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.




## ზოგიერთ კომერციულ ბანკში 1 დოლარის ღირებულებამ 2.49 ლარს მიაღწია

გუშინ, 3 ნოემბერს, 1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4371 ლარი გახდა.

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4371 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4195 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0176 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა.

კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.7027 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6810 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0.0217 ლარი შეადგინა.

გუშინ საღამოს საქართველოს ბანკში 1 აშშ დოლარის შეძენა 2.49 ლარად იყო შესაძლებელი, გაყიდვა – 2.41 ლარად.

თიბისი ბანკში მომხმარებელს 1 დოლარის შეძენა 2.4880 ლარად შეეძლო, გაყიდვა – 2.4120 ლარად.

ლიბერთი ბანკში 1 დოლარის ყიდვა 2.4850 ლარი ღირდა, გაყიდვა – 2.4250 ლარი.

ბანკ ქართუში 1 დოლარის ღირებულება 2.4800 ლარი იყო, ხოლო მისი ჩაბარების შემთხვევაში მომხმარებელი 2.4200 ლარს მიიღებდა.

დოლარის ყიდვის შედარებით იაფი ფასი ფიქსირდებოდა ფინკა ბანკში, სადაც 1 აშშ დოლარის ღირებულება 2.4650 ლარი იყო, ხოლო მისი ჩაბარების შემთხვევაში მომხმარებელი 2.4350 ლარს მიიღებდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ლარი დოლართან მიმართებაში ისევ გაუფასურდა. კერძოდ, ერთი დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.4371 ლარია.

**ბიპიენი**

## გუგული მაღრაძე: „ნაციონალების გარდა, ყველა ჯანსაღ და გამოცდილ კადრს მივესალმები“

„ქართული ოცნების“ წევრ გუგული მაღრაძის განცხადებით, ქვეყანამ ოპოზიციური პარტიებიდან წასული ლიდერების რესურსი და პოტენციალი უნდა გამოიყენოს.

ამის შესახებ მაღრაძემ 3 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ ერთადერთი ძალა, რომელთან თანამშრომლობის კატეგორიული წინააღმდეგიცაა, ნაციონალური მოძრაობაა.

– ხელისუფლებამ უნდა გამოიყენოს ქვეყნის სასიკეთოდ ის რესურსი და პოტენციალი, რაც პარტიებიდან წასულ ბევრ ოპოზიციურ ლიდერს გააჩნია. თანამშრომლობა ყველასთან დასაშვებია, ვინც ამის სურვილს გამოთქვამს. ერთადერთი, რისი კატეგორიული წინააღმდეგიც ვიქნები – არ უნდა შედგეს არანაირი თანამშრომლობა ნაციონალურ მოძრაობასთან. ნაციონალების გარდა, ყველა ჯანსაღ და გამოცდილ კადრს მივესალმები, – განაცხადა გუგული მაღრაძემ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „არ შეიძლება, საკონსტიტუციო უმრავლესობას 47%-ით იღებდე“

ნონა ცაბაძე

## „საარჩევნო სისტემა შესაცვლელია“

„ახალი თაობის“ კითხვებს „ახალი საქართველოს“ ლიდერი **გიორგი ვაშაძე** პასუხობს.

***– ბატონო გიორგი, დასრულდა საპარლამენტო არჩევნების მეორე ტურიც. რა მოლოდინიც იყო, სწორედ ის შედეგი დადგა. „ქართული ოცნება“ პარლამენტში უმრავლესობით შედის. როგორია თქვენი შეფასებები, რა პროცესებს ელოდებით?***

– „ქართულ ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა აქვს. შეიძლება, ეს მათთვის მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, თუმცა, მეორე მხრივ, ძალიან სერიოზული პასუხისმგებლობაც არის.

***– რა თვალსაზრისით?***

– რადგან ასეთმა საკონსტიტუციო უმრავლესობამ ხშირად იცის მოდუნება და მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების ნაკლებად გამახვილება, რაც, საბოლოო ჯამში, პრობლემებს შეუქმნის თვითონ „ქართულ ოცნებასა“ და ქვეყანას. ამ სიტუაციაში ოპოზიციის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა ვიყოთ მაქსიმალურად აქტიურები.

საპარლამენტო ოპოზიცია იქნება სუსტი, რადგან მას არ აქვს იმის ბერკეტი, რომ ზეგავლენა მოახდინონ სხვადასხვა კანონის მიღებაზე, ამიტომ არასაპარლამენტო ოპოზიციის როლი იქნება ძალიან მნიშვნელოვანი და აქტუალური. არასაპარლამენტო ოპოზიციას ეძლევა შანსი, აქტიურად მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.

***– რომელ ოპოზიციაზე საუბრობთ, მარტივ მამრავლებად რომ დაიშალა?***

– ოპოზიცია მარტივ მამრავლებად კი არ იშლება, არამედ ეს უფრო პოლიტიკური გადაჯგუფებაა. ოთხწლიანი პერიოდია წინ და ზუსტად ახლაა დრო, ჩამოყალიბდნენ ახალი პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც ითანამშრომლებენ ერთმანეთთან.

ზოგიერთი მიდის საერთოდ პოლიტიკიდან. ვიღაცა რჩება პოლიტიკაში. თუმცა ვფიქრობ, რომ აქვე არის ძალიან დიდი ადგილი თავისუფალი ადამიანებისთვის, რომლებიც შეიძლება გამოჩნდნენ პოლიტიკაში.

***– სულ იყო საუბარი ამ მესამე ძალაზე, მაგრამ ვერა და ვერ შეიქმნა. ახლა არის ამის შანსი?***

– მე ვფიქრობ, რომ ახლა ნამდვილად არის ამის შანსი. აქამდეც, რომ არა „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის სტრატეგიაში თანხვედრა, ნამდვილად შეიქმნებოდა მძლავრი მესამე ფლანგიც, მაგრამ ვართ იმ ფაქტის წინაშე, რა ფაქტის წინაშეც ვართ. შესაბამისად, ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია, მომავალში მესამე პოლიტიკური ძალა, მძლავრი ცენტრი ჩამოყალიბდეს.

***– რესპუბლიკელებიდან წამოსული დავით უსუფაშვილი აპირებს ახალი პოლიტიკური ცენტრის შექმნას. ხომ არ იწყება კონსულტაციები თქვენ შორის, ან რას ფიქრობთ პარტიების ასე მოულოდნელ დაშლაზე?***

– როგორც ჩანს, რესპუბლიკელებში აზრთა სხვადასხვაობა იყო. პირდაპირ გეტყვით და ძალიან გამიკვირდა. რესპუბლიკური პარტია მაინც სტაბილურობით გამოირჩეოდა. თუმცა ეს რესპუბლიკური პარტიის წევრების, მათ შორის დავით უსუფაშვილის გადაწყვეტილებაა.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, მე ნამდვილად არ მქონია საუბარი და საკითხის არანაირი განხილვა, თუმცა მეც არაერთხელ მითქვამს, რომ პროდასავლურ ძალებს შორის თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანი იქნება, თუნდაც იმისთვის რომ თვითმმართველობის, შემდეგ კი საპარლამენტო არჩევნებზე სერიოზული შედეგი დაიდოს.

***– თქვენთან რა ხდება? ამ ეტაპზე, რაღაც, სიჩუმეა.***

– რაც შეეხება კოალიციას, ეს იყო საარჩევნო ბლოკი. ბლოკი თავისთავად დასრულებულია არჩევნების დასრულების შემდეგ. რა ფორმით გავაგრძელებთ თანამშრომლობას, ამაზე, ალბათ, განცხადებას გავაკეთებთ და ჩამოვყალიბდებით. ვფიქრობ, შესაძლოა, ამ სუბიექტისგან შემდგარი ბლოკი არ იყოს საკმარისი და ამიტომ ჯობდეს, სხვა ფორმატებზე ვიფიქროთ. რეალურად ეს არჩევნებმაც გვიჩვენა. ამ ყველაფერს ერთად გადავწყვეტთ.

***– თავად პაატა ბურჭულაძე რჩება პოლიტიკაში?***

– ჩემი ინფორმაციით, ჯერჯერობით რჩება. ალბათ, მომავალ კვირაში თავის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით განცხადებას თავად გააკეთებს.

***– ოპოზიციის მხრიდან აქტიურად კეთდება განცხადებები, რომ ადგილი ჰქონდა სერიოზულ გაყალბებას, კანონდარღვევას. როგორია თქვენი შეფასებები, იყო გაყალბება?***

– ეს ყველაფერი სამი კომპონენტისგან შედგება – წინასაარჩევნო პერიოდი, შავი ფულის დარიგების პროცესი და არჩევნების დღე. ამ სამივე კომპონენტში თუ ანალიზს გავაკეთებთ, სამწუხაროდ, საკმაოდ ბევრი პრობლემა იყო. ძალიან ბევრი ფინანსური რესურსი დაიხარჯა ხელფასებით სახით. ამ არჩევნებმა ორი კონკრეტული დასკვნა უნდა გაგვაკეთებინოს.

***– კერძოდ?***

– საპარლამენტო საარჩევნო სისტემა ნამდვილად შესაცვლელია, რადგან არაადეკვატურია, 47%-ით იღებდე საკონსტიტუციო უმრავლესობას.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არჩევნების დღეა. არჩევნების დღე მოძველებულია, თავისი კომისიის წევრების დაკომპლექტებით დაწყებული, დამთავრებული ხმის დათვლით. ვხედავდით კონკრეტულ ფაქტებს, თუ როგორ აბათილებდნენ ბიულეტენებს. ფაქტია, რომ ცესკოს მიერ დანიშნული წევრები ხელისუფლების მხარდამჭერები არიან. არანაირ დამოუკიდებელ და პროფესიონალ წევრებზე საუბარი არ არის.

***– ამ კომისიებში ხომ იყვნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებიც?***

– თვითონ ოპოზიციური პარტიის წევრები აცხადებენ, რომ მათ ვერ შეძლეს საკუთარი კომისიის წევრების გაკონტროლება, რომ მათი კომისიის წევრები გარიგებაში იყვნენ „ქართული ოცნების“ კომისიის წევრებთან. ეს ყველაფერი აჩვენებს, რომ მთელი ეს ხმის მიცემის სისტემა, რომელიც დამოუკიდებლობის პერიოდიდან არსებობს, მოძვლებულია და სრულიად ახალი ტექნოლოგიების დანერგვაა საჭირო.

***– როგორ ფიქრობთ, შევა ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში?***

– ბოლო პერიოდში რა განცხადებებსაც მე ვუსმენ, ვფიქრობ, რომ „ოცნება“ შეეცდება, როგორმე შეინარჩუნოს ეს სისტემა და სხვადასხვა მიზეზი მოიფიქროს, მათ შორის ორპალატიანი პარლამენტი და ასე შემდეგ. ორპალატიან პარლამენტთან დაკავშირებით მე ცოტა სკეპტიკურად ვუყურებ ამ ინიციატივას.

***– რატომ?***

– ნამდვილად არ მესმის, რაში სჭირდება საქართველოს ორპალატიანი პარლამენტი და ბიუროკრატიის კიდევ უფრო დამძიმება, კომპეტენციების კიდევ უფრო გაყოფა სხვადასხვა ორგანოს შორის. რაც შეეხება სხვა საკითხებს, მე ვფიქრობ, რომ ისინი იქნებიან აქტიურები ისეთ საკითხებზე, როგორიც არის პრეზიდენტის არჩევის წესი, რომლის შეცვლაც მათ სურთ.

ამ შეცვლის მთავარი მიზანი, ალბათ, არის ის, რომ ორ წელიწადში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას ურჩევნიათ, პრეზიდენტი პირდაპირ პარლამენტიდან აირჩიონ. ეს არასწორია. ბევრი მაგალითი მოჰყავთ ხოლმე ევროპიდან, მაგრამ ყველაზე კარგი, ადეკვატური მაგალითია მოლდოვა, სადაც 90-იანი წლების მერე პარლამენტი ირჩევდა პრეზიდენტს და ამ ქვეყანაში მუდმივი პოლიტიკური ქაოსია.

***– ანუ პრეზიდენტი მოსახლეობამ უნდა აირჩიოს? თქვენ ამ პოზიციაზე ხართ?***

– დიახ. ამ ეტაპზე ნამდვილად ასეა. მოსახლეობამ უნდა აირჩიოს პრეზიდენტი, იმიტომ, რომ ჯერ ჩვენი დემოკრატიაც და პოლიტიკური კულტურაც, სამწუხაროდ, ძალიან მყიფეა.

***– როგორი ოთხი წელი გველის წინ? სულ იყო შეფასებები, რომ მრავალპარტიული პარლამენტი გვეყოლებოდა, თუმცა თითქმის ორპარტიული პარლამენტი მივიღეთ. რატომ გაკეთდა ასეთი არჩევანი?***

– ამაზე მთელი სისტემა მუშაობდა იმისთვის, რომ შუაში ხმები აღარ დარჩენილიყო. ეს არჩევანი გააკეთა ხალხმა. „ქართული ოცნების“ სტრატეგიაც ეს იყო. ამას მშვენივრად მოერგო ნაციონალური მოძრაობის სტრატეგია. საბოლოო ჯამში, მოხდა ისე, რომ ამ ორმა ძალამ თითქოს ხმები გადაინაწილა, მაგრამ ბოლოს ვნახეთ, რომ ყველაფერი „ქართულმა ოცნებამ“ წაიღო.


**სასიამოვნო სიახლე მაგთისატისა და მაგთის IP ტელევიზიის მომხმარებლებისთვის!**

4 ნოემბრიდან მაგთისატის და მაგთის IP ტელევიზიის მომხმარებლები დამატებით სხვადასხვა ჟანრის და თემატიკის 8 მაღალრეიტინგულ არხს მიიღებენ.

**კინოარხები** მაღალშემოსავლიანი ბლოკბასტერებით, მძაფრსიუჟეტიანი თრილერებითა და პრესტიჟული კინოფესტივალების ნომინანტი ფილმებით:

- TV 1000
- TV 1000 Action
- TV1000 Русское кино

**შემეცნებით/საგანმანათლებლო არხები** საუკეთესო დოკუმენტური ფილმებითა და გადაცემებით ისტორიულ მოვლენებზე, მოგზაურებსა და მკვლევარებზე, ცხოველთა სამყაროზე:

- Viasat History
- Viasat Nature
- Viasat Explore
- Da Vinchi Learning

**სპორტული არხი** – Viasat Sport – სპორტის ახალი ამბებით, პირდაპირი ტრანსლაციებით, NBA – უმაღლესი საკალათბურთო ლიგის მატჩებით, ბეისბოლით, ამერიკული ფეხბურთით, ბოქსით და სხვა.


## დევნილებმა თაღლითურ შეთავაზებებს არ დაუჯეროთ!



დევნილთა და განსახლების სამინისტრო დევნილებს მოუწოდებს, ბინის მიღებასთან დაკავშირებით თაღლითურ შეთავაზებებს არ დაუჯერონ.

ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების მინისტრის მოადგილე შოთა რეხვიაშვილმა განაცხადა.

რეხვიაშვილი გამოეხმაურა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირის დაკავებას.

– სამინისტრო კიდევ ერთხელ მიმართავს დევნილებს – არ დაუჯერონ მსგავს თაღლითურ შეთავაზებებს. ბინების განაწილდება ხდება კრიტერიუმების შესაბამისად, კომისიურად, ღიად და გამჭვირვალედ.

ყოველი ასეთი ფაქტი გამოაშკარავებული იქნება. 2016 წლის ბოლომდე თბილისში ახალაშენებულ კორპუსებში ბინას 400 დევნილი ოჯახი მიიღებს, აქედან 200 ოჯახი ეგრეთ წოდებულ ოლიმპიურ სოფელში, 200 კი – მენაშენეებისგან გამოსყიდულ კორპუსში, დადიანის ქუჩაზე, – განაცხადა რეხვიაშვილმა.

დევნილთა საკითხების შემსწავლელი გაფართოებული კომისია, რომელმაც 11.016 განაცხადიდან უნდა გამოავლინოს ის 400 დევნილი ოჯახი, რომლებსაც თბილისში ბინები გადაეცემათ, მუშაობას 7 ნოემბრიდან იწყებს.

კომისიის მუშაობის პროცესი 10 დღის განმავლობაში გაგრძელდება, რის შემდეგაც დევნილი ოჯახების დაზუსტებული სია საჯარო გახდება და სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

– სამინისტრო მოუწოდებს დევნილებს, რომ მსგავსი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს ან სამინისტროს. ანონიმურობა დაცული იქნება, – განაცხადა რეხვიაშვილმა.

**ინტერპრესნიუსი**


**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ქართულ ოცნებაში“ საპარლამენტო თანამდებობებს ვერ იყოფენ

შორენა მარსაგიშვილი

მეცხრე მოწვევის პარლამენტი ჯერ არ შეკრებილა, მაგრამ თანამდებობების გადანაწილებაზე აქტიურად დაიწყეს მუშაობა. სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს.

ყველაზე საინტერესო იმის გარკვევაა, თუ ვინ იქნება პარლამენტის თავმჯდომარე. აქამდე წინასწარ იყო ხოლმე ცნობილი, თუ ვინ იყო ამა თუ იმ პარტიაში სასპიკერე პერსონა, „ქართულმა ოცნებამ“ კი ეს ამბავი სიურპრიზად შემოგვინახა.

როგორც ამბობენ, ამ თემაზე „ოცნებაში“ ცხარე დებატები გაიმართა. თავიდან ამ პოსტზე გია ვოლსკის კანდიდატურა განიხილებოდა, მერე ზვიად კვაჭანტირაძის გვარმაც გაიჟღერა, საბოლოო არჩევანი კი პარტიის აღმასრულებელ მდივანზე, სიის მესამე ნომერ ირაკლი კობახიძეზე შეჩერდა.

პროფესიით იურისტი კობახიძე ამ თემაზე ჩახლართულად საუბრობს. სამაგიეროდ, მისი თანაპარტიელები ადასტურებენ ამ ინფორმაციას და იმასაც დასძენენ, რომ სიამოვნებით დაუჭერენ კობახიძეს მხარს.

სპიკერთან ერთად, პარლამენტს ვიცესპიკერებიც სჭირდება. თავიდან ამ პოსტზე მანანა კობახიძის კანდიდატურა განიხილებოდა. იქიდან გამომდინარე, რომ სპიკერიც კობახიძე იქნება, მანანას გვერდზე გადგომა მოუხდა. როგორც ამბობენ, მას სხვა რაიმე საინტერესო თანამდებობას მოუძებნიან.









პირველი ვიცესპიკერობა კი გია ვოლსკისთვის შეუთავაზებიათ. ეს უკანასკნელი 2012-2016 წლებში საპარლამენტო ფრაქცია „ქართულ ოცნებას“ ედგა სათავეში.

ვოლსკი ამ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს და ცნობისმოყვარეებს ლოდინისკენ მოუწოდებს.

— დაველოდოთ რამდენიმე დღე და ყველაფერი გაირკვევა, — აღნიშნა მედიასთან საუბარში ვოლსკიმ.

სპიკერს კიდევ სხვა მოადგილეებიც სჭირდება. გავრცელებული ინფორმაციით, ირაკლი კობახიძეს გვერდი, შესაძლოა, თამარ ჩუგოშვილმაც დაუმშვენოს. „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, რომ ამ საკითხზე აქტიურად მიმდინარეობს კონსულტაციები.



ჩუგოშვილთან დაკავშირებით სხვა ვერსიებიც არსებობს, ამბობენ, რომ მას, შესაძლოა, აღმასრულებელ ხელისუფლებაში შესთავაზონ რაიმე თანამდებობა.

რეგლამენტის თანახმად, ვიცესპიკერების კვოტას ნაციონალები და პატრიოტთა ალიანსიც მიიღებენ. ნაციონალებს ჯერ სათანადო კადრი არ შეურჩევიათ, ალიანსელები კი ამ თანამდებობაზე ორ კანდიდატურას განიხილავენ. პატრიოტებს ეს პოსტი ირმა ინაშვილისთვისაც ემეტებათ და ადა მარშანიასთვისაც. საბოლოო გადაწყვეტილებას ისინი 19 ნოემბრისთვის მიიღებენ.

„ქართულ ოცნებას“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერიც შესარჩევი ჰყავს. ეს თანამდებობა ჯერ ისევ ზვიად კვაჭანტირაძეს უკავია. კონსულტაციების შედეგად გადაწყდა, რომ უმრავლესობას არჩილ თალაკვაძეს ჩააბარებენ. საპარლამენტო არჩევნებამდე მას შს მინისტრის მოადგილის პოსტი ეკავა. ოზურგეთის მაჟორიტარის მანდატი მან პირველივე ტურში მოიპოვა.

გავრცელებული ინფორმაციით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ზაქარია ქუცნაშვილის კანდიდატურა განიხილებოდა. მერე არჩევანი მამუკა მდინარაძეზეც შეუჩერებიათ. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ის შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზეც განიხილებოდა.

კონსულტაციების შემდეგ გადაუწყვეტიათ, რომ ამ პოსტს ეკა ბესელია დაიკავებს, რომელიც ჯერ კიდევ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს ხელმძღვანელობს.

თავმჯდომარის გარეშე, ბუნებრივია, არც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი დარჩება. ამ პოსტზე გედი ფოფხაძის კანდიდატურა განიხილება. ის ამ მომენტისთვის ბესელიას მოადგილეა.

თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი სესიაშვილისა და კობა კობალაძის კანდიდატურები განიხილება. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თინა ხიდაშელის გადადგომის შემდეგ თავდაცვის მინისტრის პოსტზეც მათზე იყო საუბარი.

ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზეც რამდენიმე კანდიდატურაა. ამბობენ, რომ ამ პოსტის დაკავება კიდევ ერთხელ უნდა მოქმედ თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძეს. ის ბიძინა ივანიშვილთან დაახლოებული პირი გახლავთ და, შესაბამისად, შანსებიც აქვს.

„ოცნებაში“ ამბობენ, რომ ამ თანამდებობაზე ახალბედა დეპუტატ მარიამ ჯაშის კანდიდატურაც განიხილება.

მისი კანდიდატურა განათლების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზეც განიხილება. ამბობენ, რომ ამ პოსტზე თვალი გუგული მაღრაძესაც აქვს დადგმული.

გარემოს დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეობა მწვანეთა პარტიის ლიდერ გია გაჩეჩილაძესა და სოციალ-დემოკრატ გია ჟორჟოლიანს სდომებიათ, „ოცნებაში“ კი გარემოს დარაჯად უფრო ახალი სახე სურთ — კახა კუჭავა, რომელიც „ქართული ოცნების“ საარჩევნო სიის მე-11 ნომერია.

სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზეც რამდენიმე კანდიდატურაა. ერთ-ერთი ვერსიით, ამ პოსტს მოქმედი თავმჯდომარე ლერი ხაბელოვი დაიკავებს, მეორე ვერსიით კი კომიტეტს მიხეილ ყაველაშვილს ჩააბარებენ, რომელსაც კახა კალაძე ლობირებს.

როგორც „ქართულ ოცნებაში“ ამბობენ, საბოლოო გადაწყვეტილება რამდენიმე დღეში იქნება მიღებული, მანამდე კი, შესაძლოა, ბევრი რამე შეიცვალოს.

ლოდინს გვირჩევს „ქართული ოცნების“ სიის მესამე ნომერი ირაკლი კობახიძეც.

— კონსულტაციები დაიწყო და უახლოეს დღეებში გვეცოდინება კონკრეტული სახელები და გვარები, თუ ვინ რა თანამდებობაზე წარდგება. იგივე ეხება ჩემს კანდიდატურას პარლამენტის თავმჯდომარეობასთან დაკავშირებით. მე კონკრეტულად ვერ გეტყვით სახელებს და გვარებს ახლა, რადგან მიმდინარეობს კონსულტაციები და საზოგადოება უახლოეს დღეებში გაიგებს, ვინ რა თანამდებობას დაიკავებს, — სპიკერის ხმით განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

## ეკა ბესელია: „პარლამენტის თავმჯდომარედ ირაკლი კობახიძეს წარვადგენთ“

— პარლამენტის მომავალ თავმჯდომარესთან დაკავშირებით ცნობილია, რომ წარდგენილი იქნება ირაკლი კობახიძის კანდიდატურა და უდავოდ მას ექნება გუნდის მხარდაჭერა.

ამის შესახებ ჟურნალისტებს „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრმა ეკა ბესელიამ გუშინ გვიან საღამოს განუცხადა.

ბესელიას თქმით, ამ ეტაპზე გრძელდება კონსულტაციები, რის გამოც კონკრეტიკისგან თავს იკავებს.

— სახელდება ბევრი სხვადასხვა პოზიცია, მე ვერც ჩემს თავთან და ვერც სხვასთან დაკავშირებით, გარდა პარლამენტის მომავალი თავმჯდომარისა, ვერ დავადასტურებ ვერაფერს. არის სხვადასხვა შემოთავაზებაც, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ პოლიტიკურ საბჭოზე, — განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისი ინფორმაციით, საპარლამენტო თანამდებობებთან დაკავშირებით კონსულტაციები ამ ეტაპზე მხოლოდ ინდივიდუალურ რეჟიმში მიმდინარეობს და ეს პროცესი მიმდინარე კვირას დასრულდება.

ამასთან, ბესელია თავს იკავებს იმ ინფორმაციის დადასტურებისგან, რომლის მიხედვით, პირადად მისი კანდიდატურა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე განიხილება.

ბესელიას თქმით, ამ ეტაპზე არაფერი გადაწყვეტილი არ არის.

ირაკლი კობახიძის შესახებ აზრი გამოთქვა განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

— ირაკლი კობახიძეს ძალიან დიდ პატივს ვცემ და, შესაბამისად, ნამდვილად მომხრე ვიქნები მისი, — განაცხადა მინისტრმა.

მან ხაზი გაუსვა, რომ გადაწყვეტილება პოლიტიკურმა გუნდმა უნდა მიიღოს.

— ვიცი, რომ კონსულტაციები მიმდინარეობს. მე გადაწყვეტილების მიმღებთა წრეში ამ შემთხვევაში არ შევდივარ და ამიტომ ირაკლი კობახიძეს, უბრალოდ, წარმატებას ვუსურვებ. დარწმუნებული ვარ, რომ პრემიერი, პარტიის პოლიტსაბჭო ძალიან დაბალანსებულ და სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ, — განაცხადა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

## სააკაშვილს ოდესის ოლქში გამოკითხულთა 77% არ ენდობა

მარიამ მჭედლიშვილი



ქართველი ექსპერტების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ექსპრეზიდენტი სააკაშვილი კარგა ხანს დარჩება ნაციონალური მოძრაობის არაფორმალურ ლიდერად და ჩაბმული იქნება საქართველოში მიმდინარე პროცესებში. თავად სააკაშვილი თავის მომხრეებს არწმუნებს, რომ უკრაინაში გლობალური პრობლემების მოგვარებითაა დაკავებული, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვისაც.

საზოგადოებრივმა ორგანიზაცია „ლადამ“ ბოლო დროს ოდესის ოლქში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა.

ამ კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 77% ოდესის ოლქის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს არ ენდობა. მის მიმართ ნდობას გამოხატავს 6%. 17%-ს პასუხის გაცემა უჭირს. გამოკითხულთა მხოლოდ 3% მიიჩნევს, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის ფუნქციებს თავს ართმევს.

ოდესელები ფიქრობენ, რომ ოლქის ხელმძღვანელი დაკავებული უნდა იყოს რეგიონის ყველა პრობლემით და არ უნდა ჩაიციკლოს ერთსა და იმავე საკითხებზე, მაგალითად, კორუფციასთან ბრძოლასა და გზების დაგებაზე.

გამოკითხვა ოდესის ოლქში მანამდე სხვა ორგანიზაციებმაც ჩაატარეს. სექტემბერში ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, სააკაშვილის საქმიანობას დადებითად აფასებდა გამოკითხულთა 11,5%, ყოველი მესამე კი სააკაშვილის საქმიანობის საფუძვლად საკუთარ პიარს მიიჩნევდა.

ბოლო გამოკითხვის შედეგები ექსპერტებმა შეაფასეს.

ანტონ კრავჩიკმა სააკაშვილს უწოდა ბოლო წლების ყველაზე დიდი იმედგაცრუება არა მარტო ოდესელების, არამედ უკრაინელებისთვისაც.

— როცა სააკაშვილი თანამდებობაზე დაინიშნა, მოლოდინი კოლოსალური იყო. შეიქმნა მითი და ეს მითი მიზანმიმართულად ინერგებოდა — მან მოახდინა საქართველოს რეფორმირება, ამიერიდან შეუძლია რეფორმების განხორციელება ოდესის ოლქში. სააკაშვილის მოსვლის შემდეგ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლები პლინტუსის ქვემოთ დონემდე დაეცა, — აღნიშნავს ანალიტიკოსი.

ანტონ კრავჩიკის შეფასებით, სააკაშვილი თავისი არაორდინარულობით, ფეთქებადი ხასიათით, ტემპერამენტითა და ქარიზმატულობით გამოდგებოდა ისეთი ქვეყნების პრეზიდენტად, როგორებიცაა ნიკარაგუა და ჰონდურასი. მისი თქმით, ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის საქმიანობა მისთვის მოსაწყენი და მონოტონურია. გარდა ამისა, სააკაშვილი უგუნდოდ ვერ ახერხებს თავისი იდეების რეალიზებას.

— როცა ადამიანი თავის ადგილზე არ არის, ის ყველაფერს ანგრევს, თან თვითონ სჯერა, რომ რაღაცას აკეთებს, — ამბობს ექსპერტი.

მისი თქმით, ადგილობრივი მმართველობის მიმართ ნდობის აღდგენა მხოლოდ არჩევითობითაა შესაძლებელი. ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ხალხი უნდა ირჩევდეს. კანდიდატმა უნდა გაიაროს გზა რიგითიდან გენერლამდე. იგი კარგად უნდა იცნობდეს რეგიონს. გუბერნატორების არჩევის თაობაზე კანონპროექტი უკვე შეტანილია უკრაინის რადაში.

უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოს მიერ დანიშნულ სააკაშვილს კიდევ ერთი კონფლიქტი მოუვიდა პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან. ამჯერად იგი ადმინისტრაციის წარმომადგენელ ვიტალი კოვალჩუკს დაუპირისპირდა. გუბერნატორმა განაცხადა, რომ კოვალჩუკი ოდესის ოლქში გაუმჭვირვალედ ნიშნავს პირებს თანამდებობებზე და სეპარატისტულ პროექტებს კურირებს.

უკრაინულმა მედიამ სააკაშვილი ქონებრივი დეკლარაციის გამოც გააკრიტიკა. ელექტრონული დეკლარაციები უკრაინის მოხელეებმა ევროკავშირის რეკომენდაციით შეავსეს. ჟურნალისტებს შეკითხვები გაუჩნდათ ბევრი ჩინოსნის, მათ შორის, კორუფციასთან მებრძოლი სააკაშვილის შემოსავლების მიმართ.

# ლევან ალაფიშვილი: პარლამენტის არჩეული პრეზიდენტი პოლიტიკის მიღმა ვერ იქნება“

## „კონსტიტუცია გადასასინჯია, მაგრამ სისტემური მიდგომაა საჭირო“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი **ლევან ალაფიშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.

***– ბატონო ლევან, უკვე დაანონსებულია, რომ ხელისუფლება კონსტიტუციის გადასინჯვას აპირებს და ამ მიზნით სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაც შეიქმნება, თუმცა ჯერ არ არის დაზუსტებული, თუ რა საკითხებს გადასინჯავს ეს კომისია. შეიძლება, ერთ-ერთი საკითხი პრეზიდენტის არჩევის წესს შეეხებოდეს.***

– მმართველი პარტიის არც საარჩევნო პროგრამაში, არც ოფიციალურ განცხადებებში არ არის სისტემური ხედვა, ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბებული ამ საკითხზე, თუ რა წარმოუდგენიათ პრობლემად და როგორ ფიქრობენ ამ პრობლემის გადაჭრას. პროგრამაში საუბარია მხოლოდ იმაზე, რომ 2012 წლის არჩევნების შემდეგ აღდგა ხელისუფლების შტოებს შორის დარღვეული ბალანსი და ჩამოყალიბდა დემოკრატიული მმართველობა, არადა, მეტი სიცხადე, მეტი სისტემურობა და ახსნაა საჭირო.

მმართველი პოლიტიკური ძალა ნელ-ნელა გააცნობიერებს იმ პასუხისმგებლობის ტვირთს, რომელიც ახლავს საკონსტიტუციო უმრავლესობის არსებობას. თუნდაც ის თემა, რომელიც ამ ბოლო პერიოდში აქტუალურია, არ არის მხოლოდ ერთი პოლიტიკური ჯგუფის გადასაწყვეტი საკითხი.

***– არც ამბობენ, მხოლოდ ჩვენ გადავწყვეტთო. მმართველი გუნდი ფართო ჩართულობაზე საუბრობს. ფიქრობთ, ეს მხოლოდ საუბარია?***

– აღმასრულებელი მდივნის, კობახიძის მკაფიო განცხადებების შემდეგ, რომელმაც ყველაზე კარგად იცის ეს საკითხები, ცოტა ნათელი მოეფინა, მაგრამ მაინც საჭიროა გამახვილებული ყურადღება, მით უფრო, როდესაც საუბარია პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით. ვინ ირჩევს, როგორ ირჩევს? ეს არის იმ რანგის საკითხები, რომლებიც უნდა იყოს ფართო მსჯელობისა და კონსენსუსის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება. მხოლოდ პარლამენტი არ არის ის ორგანო, რომელმაც უნდა მიიღოს ამ საკითხზე გადაწყვეტილება, რაც უნდა საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰქონდეს. ამის ექსკლუზიური უფლება პარლამენტს არ აქვს. მას მანდატი მოსახლეობის მხოლოდ 25%-მა მისცა.

***– სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ რა საკითხებზე უნდა გააკეთოს მთავარი აქცენტი?***

– საქართველო იქნება უნიტარული თუ ფედერაციული, ვართ ამის განსახილველად მზად? პირველ რიგში, არის ეს პოლიტიკური ძალა ამისთვის მზად? მე არ ვარ დარწმუნებული ამაში. თუ ფედერაციული იქნება, როგორი ტიპის ფედერაცია იქნება?! ფედერაციის სუბიექტებს შორის, მათ კომპეტენციებს შორის რა განსხვავება შეიძლება იყოს?! მაგალითად, აფხაზეთსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის? ავტონომიური წარმონაქმნების კომპეტენცია როგორი განსხვავებული იქნება სხვა ტერიტორიული ერთეულებისგან?



ამ ყველაფერს რომ დავუმატოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, ასევე რუსეთისა და საერთაშორისო პარტნიორების დაინტერესების ხარისხი და 25% მოსახლეობის მხარდაჭერა, ეს ძალიან რთული საკითხებია.

***– ანუ კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის გადასინჯვა სულაც არ არის საჭირო და იყოს, როგორც არის?***

– არა, არა, ეს არ მითქვამს. პირიქით, მე ვამბობ, რომ რაც შეიძლება მეტი კომპეტენცია და მეტი სისტემური მიდგომაა საჭირო. მე წარმოგიდგინეთ ის პრობლემები, რომლებიც საჭიროებს კვალიფიციურ ხედვასა და გადაწყვეტას. როდესაც პრეზიდენტის არჩევის წესზეა საუბარი, ჩვენ ისიც უნდა დავინახოთ, თუ რასთან არის ეს დაკავშირებული.

***– თუ ამოქმედდა ეს კომისია, მისი პირველი ნაბიჯი რა უნდა იყოს?***

– პირველ რიგში, მმართველობითი ხარვეზები, სახელისუფლებო კრიზისები უნდა აღმოფხვრას. ეს უნდა გაასწოროს ამ კომისიამ. მოქმედ რედაქციაში არის ისეთი მექანიზმი, რომელსაც ჩიხში შევყავართ და არ იძლევა მისი დაძლევის შესაძლებლობას. პირველ რიგში, სწორედ ეს უნდა გასწორდეს. 2020 წლისთვის თუ შეძლებს ეს კომისია ამ კანონპროექტის შემუშავებას, მე მის მუშაობას წარმატებად ჩავთვლი.

***– პრეზიდენტის არჩევა როგორი უნდა იყოს, პირდაპირი წესით თუ ხალხის ლეგიტიმაცია მას არ სჭირდება?***

– პრეზიდენტი უნდა იყოს ნეიტრალური ფიგურა, არბიტრი, რომელსაც ბმა არ ექნება არც პარლამენტთან, არც პარტიულ საქმიანობასთან და არც აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ის იქნება პოლიტიკის მიღმა. ეს იქნებოდა ოპტიმალური ვარიანტი. პოლიტიკური ორგანოს მიერ არჩეული პრეზიდენტი პოლიტიკის მიღმა ვერ იქნება. ხშირად მოჰყავთ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებს გერმანიის მაგალითი, სადაც პრეზიდენტს პარლამენტი ირჩევს, მაგრამ ავიწყდებათ, როგორი პარლამენტია იქ.

***– ორპალატიანი პარლამენტი.***

– დიახ, სწორედ ორპალატიანი პარლამენტი ირჩევს, ასევე გერმანია ფედერაციული რესპუბლიკაა, ფართო ავტონომია აქვთ მიწებს. ამ ყველაფრის გათვალისწინება არგუმენტაციის დროს ძალიან მნიშვნელოვანია.

# მომავალი წლის პირველივე თვიდან მასწავლებლების საშუალო ანაზღაურება 800 ლარს მიაღწევს

მომავალი წლის პირველივე თვიდან მასწავლებლების საშუალო ანაზღაურება 800 ლარს მიაღწევს.

ამის შესახებ განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ მთავრობის სხდომის შემდეგ განაცხადა.

როგორც ჯეჯელავამ განმარტა, მასწავლებლების ხელფასების ზრდა, როგორც იყო დაპირებული, ზუსტად იმ მოცულობით იქნება ასახული მომავალი წლის ბიუჯეტში.

– მომავალი წლის დასაწყისშივე, პირველივე თვიდან იზრდება მასწავლებლების ანაზღაურება და საშუალო ანაზღაურება მიაღწევს 800 ლარს, – განაცხადა ჯეჯელავამ.

# თიბისი ბანკი და იუსტიციის სახლი მომხმარებელს კომფორტს უქმნიან

**თიბისი ბანკმა და იუსტიციის სახლმა მშვენიერ წამოწყებას ჩაუყარეს საფუძველი. ამიერიდან იუსტიციის სახლებში მისულ მოქალაქეებს საჯარო რეესტრის სერვისების საფასურის გადახდა განაცხადის მიმღებ ოპერატორთან საბანკო პლასტიკური ბარათით შეეძლებათ.**





სამმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმს იუსტიციის სახლს, საჯარო რეესტრსა და თიბისი ბანკს შორის ხელი უკვე მოეწერა, რის შედეგადაც მომხმარებლისთვის სერვისების მიწოდება „ერთი ფანჯრის“ პრინციპით კიდევ უფრო გამარტივდა.

თიბისი ბანკმა იუსტიციის სახლს 140 პოსტერმინალი გადასცა, რომელიც საჯარო რეესტრის სერვისების მიმართულებით მომუშავე თითოეული ოპერატორის სამუშაო მაგიდაზეა განთავსებული. შედეგად, მოქალაქეებისთვის მომსახურების მიღების პროცესი უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. თავის მხრივ, საჯარო რეესტრმა სიახლის დანერგვისთვის საჭირო პროგრამული კომპონენტი უზრუნველყო.



**ნინო მასურაშვილი, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე:**

– ახალი, ინოვაციური პროექტი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ადგილზევე გადაიხადონ საჯარო რეესტრის სერვისები, მაგალითად, როგორიც არის, ბიზნესისა და ქონების რეგისტრაციის საფასურები. ამ სერვისით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერი ტიპის (ვიზა, მასტერკარდი, ჩაინა უნიონ ფეი) საბანკო პლასტიკური ბარათის მფლობელს. ეს სერვისები ამ დროისთვის მოქმედებს თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის იუსტიციის სახლებში, ხოლო სულ მალე მთელ საქართველოს მოიცავს, რათა მომხმარებელმა პროცესები მარტივად გაიარონ, დაზოგონ დრო და თავი უფრო კომფორტულად იგრძნონ.

**გივი აზაურაშვილი, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორი:**

– ეს არის „ერთი ფანჯრის“ პრინციპის სრულყოფისკენ მიმართული ინიციატივა, რაც მომხმარებელს კიდევ უფრო უზოგავს დროს და ფინანსური ოპერაციის შესრულება უხდება უშუალოდ ოპერატორთან, მას აღარ სჭირდება ბანკის ფილიალებში წასვლა და იქ რიგში ჩადგომა. ეს ყველაფერი მიმართულია იმისკენ, რომ მომხმარებელი კმაყოფილი დარჩეს. ამ ეტაპზე მომსახურება დავნერგეთ ყველაზე დატვირთულ ფილიალებში დიდ ქალაქებში, მაგრამ ვგეგმავთ, რომ ის მთელი საქართველოს მასშტაბით გავავრცელოთ.

# პაატა შეშელიძე: „ლარის გაუფასურება ეროვნული ბანკის ბრალია“

ნონა ცაბაძე

რა ელოდება ლარს? რა პროცესები ვითარდება ქართულ ეკონომიკაში? როგორია მთავრობის ეკონომიკური გუნდის როლი ამ პროცესებში? გველის თუ არა კუპონიზაცია? „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ექსპერტი, თავისუფალი ეკონომიკური სკოლის ხელმძღვანელი **პაატა შეშელიძე** პასუხობს.

***– ბატონო პაატა, ლარის კურსი ყოველდღიურად უფასურდება, თუმცა ეკონომიკური გუნდი დამაიმედებელ პროგნოზებს აკეთებს და აცხადებს, რომ საგანგაშო არაფერია. რას იტყვით თქვენ?***

– უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ იგივე ხალხი ამბობდა იმავეს ერთი წლის წინ, ორი წლის წინ და თუნდაც 1993 წლის ბოლოს, როცა ეს ყველაფერი დაიწყო. ამიტომ ამ ადამიანების მიმართ ნდობა ძალიან შერყეულია. მათი დაპირებები და მათი ხედვა, როგორც ჩანს, არ ასახავს რეალობას. ეს კურსი სინამდვილეში კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ ღრმა პრობლემებში ვართ! ის ადამიანები, რომლებიც უარყოფდნენ ამ პრობლემას, ისევ არიან ხელისუფლებაში და ისევ აპირებენ, გააგრძელონ იგივე პოლიტიკა.

***– ძირითადად რაშია პრობლემა?***

– ეს არის ეროვნული ბანკი! ეროვნული ბანკი არ არის გამოწვევების ადეკვატური. მას აქვს მუდმივად მცდელობა, მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც ლოგიკურად არ ასახავს მოვლენებს. ფულის მიწოდება სისტემატურად იზრდება მაშინ, როცა არ არის საჭირო. ინტერვენციები ხდება მაშინ, როცა უკვე გვიანია, სარეზერვო განაკვეთები ხელოვნურად არის მანიპულირებული. ასევე რეფინანსირების განაკვეთი კრიზისის დროს კიდევ უფრო იზრდება. მთელი ჯამია, ბუკეტია შეცდომების, რომლებიც მუდმივად გროვდება. ჩვენ არ გვჭირდება ის ინსტიტუტი, რომელიც მუდმივად ნეგატიურ გავლენას ახდენს მოვლენების განვითარებაზე!



***– რას გულისხმობთ?***

– ჩვენ შეგვიძლია, არსებითად განსხვავებული მონეტარული პოლიტიკა ვიქონიოთ, მინიმუმ, შეგვიძლია ლარი მივაბათ დოლარს და, უკეთეს შემთხვევაში, საერთოდ თუ ამოვიღებთ ლარს და დავიტოვებთ დოლარს, ეს ინსტიტუტი, როგორც ასეთი, თავისი სიმახინჯეებით საერთოდ აღარ დაგვჭირდება. ეკონომიასაც გავაკეთებთ ამ უსაქმურ ბიუროკრატიაზე.

***– მთავრობის მხრიდან რა არის გასაკეთებელი?***

– მთავრობა მუდმივად ლაპარაკობს ეკონომიკის წახალისებაზე, მაგრამ წახალისებას ახდენს გამომუშავებული ფულის გადანაწილებით ერთი ჯიბიდან მეორეში. პრობლემა ის არის, რომ ადამიანებს, რომლებსაც მანამდე არ ჰქონდათ ფული, უჩნდებათ ფული. ისინი ცდილობენ, რაღაც საქმე წამოიწყონ, რომლის წამოწყებაც მათ მანამდე არ შეეძლოთ. ამ პროექტების მიზანი ის არის, რომ რაღაცის კეთება წაახალისონ.



***– მერე ეს ცუდია?***

– ამ კეთებას სჭირდება უცხოური ინვენტარი, ტექნოლოგიები და ასე შემდეგ. ამიტომ ხელოვნურად არის გაზრდილი მოთხოვნა ამერიკულ დოლარზე, რომლითაც ეს ყველაფერი შეძენილ უნდა იქნეს. სესხს იღებენ ლარში, ყიდულობენ ამერიკულ დოლარს, შემდეგ მიდიან საერთაშორისო ბაზარზე, ყიდულობენ ტექნოლოგიებს და ასე შემდეგ. ეს არის ერთ-ერთი მანკიერი წრე.

***– კიდევ რა ხარვეზები არსებობს?***

– ხარვეზის მეორე ნაწილი არის ის, რომ ფინანსთა სამინისტრო ხშირად იღებს ვალებს, შიდა ვალს იღებს ინტენსიურად. შიდა ვალის აღების ერთ-ერთი მექანიზმი არის ის, რომ გამოუშვას სახაზინო ვალდებულებები და ღია ბაზარზე გაყიდოს. ღია ბაზარზე ამ ვალდებულებებს, როგორც წესი, ყიდულობენ ბანკები. ბანკები, თავის მხრივ, იღებენ სესხებს რეფინანსირების სახით ეროვნული ბანკიდან ანუ დამატებით რესურსს იღებენ ეროვნული ბანკიდან. ამ წრეზე ბრუნვა მუდმივად არის. გარდა ამისა, რეფორმა პრივატიზების კუთხით, პრაქტიკულად, შეჩერებულია.

***– რას გულისხმობთ?***

– თუ რამე დიდი პროექტია, ყველა სახელმწიფოს ხელშია. მის გარეშე ვერავინ შემოდის, რომ რამე გააკეთოს. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენ გვაქვს ლარის კურსის ასეთი გაუფასურება!

***– დღეს საუბარია ეკონომიკური გუნდის მთლიანად შეცვლაზე, ითქვა, რომ მთავრობაში აქტიურად განიხილება ეს საკითხი. ეს რამდენად გამოასწორებს ვითარებას?***

– გუნდი აუცილებლად შესაცვლელია, მაგრამ ინტელექტუალურად განსხვავებული ხალხია მოსაყვანი. მე არ ვიცი, ვინ არის ეს ხალხი. ამათი გვარები არ ვიცი, პროგრამა არ ვიცი, გვარები არ ვიცი, არაფერი არ ვიცი.

***– ანუ გუნდი უნდა შეიცვალოს?***

– გუნდი კი არა, მთელი ეს ხალხია შესაცვლელი, ვინც ამ გადაწყვეტილებებს იღებდა ამდენი ხნის განმავლობაში და უპასუხისმგებლოდ ექცეოდა ქვეყანას, მაგრამ, სამწუხაროდ, არჩევნებმა სხვანაირად განსაჯა. არც ჰქონდა ხალხს ბევრი არჩევანი. ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე სიტუაციაში იყო ამომრჩეველი. მე, უბრალოდ, იმის იმედი მაქვს, რომ ჭკუა ეყოფათ და უარს იტყვიან პოლიტიკანობასა და იმ მანკიერ ტრადიციაზე, რომელიც ამ ბოლო დროს ჰქონდათ.

***– თუნდაც ერთი წლის წინ ყველაფერი ქადაგიძეს ჰბრალდებოდა. ახლა ვის უნდა დააბრალონ?***

– ქადაგიძე ისეთივე დამნაშავეა, როგორიც ეროვნული ბანკის ახალი პრეზიდენტი, იმიტომ, რომ ერთსა და იმავე პოლიტიკას მისდევენ. პიროვნებაზე კი არ არის დამოკიდებული, ეს დამოკიდებულია პოლიტიკაზე, მიდგომაზე, ხედვაზე. მათ კი განსხვავებული არაფერი ჰქონიათ. ამიტომ შედეგებიც იგივეა. უმჯობესია, ეს ინსტიტუტი გაუქმდეს, რომ არასოდეს არავის აღარ ჰქონდეს „თავის გამოჩენის“ უფლება.

***– თქვენ ინვესტიციები ახსენეთ. ამბობენ, რომ ინვესტიციების შემოდინებამ იკლო. რატომ?***

– თუ სამთავრობო ინვესტიციებს გამოვრიცხავთ, კერძო სექტორში ინვესტიციები იკლებს.

***– შექმნილი მდგომარეობა რამდენად დაარტყამს მოსახლეობის ჯიბეს?***

– რასაკვირველია, პირველ რიგში, მას დაარტყამს. საზოგადოება მუდმივი პრობლემის ქვეშაა. ადამიანებს დანაზოგები აქვთ, გეგმები აქვთ და ამ დროს ეს გეგმები თვალსა და ხელს შუა ეფუშებათ! ასე არ შეიძლება. ჯერ ადამიანებს დააძალო, რომ ლარი გამოიყენონ და მერე გაუუფასურო ეს ლარი! ეს ხომ გავიარეთ 90-იან წლებში, კუპონის დროს.

***– იგივე სიტუაციაა?***

– თითქმის იგივე სიტუაციაა, ოღონდ ჯერჯერობით ისეთი ტემპები არ აქვს. აძალებ ლარის გამოყენებას, თან უუფასურებ, ამავდროულად, აცხადებ, რომ ეს არის თავისუფალი კურსი და მწარედ იტყუები. ლარის არანაირი თავისუფალი კურსი არ არსებობს. ლარის კურსს აწესებს ეროვნული ბანკი! ეს არაკეთილსინდისიერი განცხადებებია. როდესაც ასეთ განცხადებებს ადამიანი აკეთებს, მას მეორედ ხელი აღარ უნდა ჩამოართვა! სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები მთავრობაში მოდიან, ჩვენ კი აქ ზღაპრებსა და თეორიებს ვაგებთ.

# ფრთხილად — სწრაფი სესხები!

## მომხმარებელს 300 ლარის ნაცვლად ხშირად 1.800, 2.000 ლარის დაბრუნება უწევს

„აიღე 250-დან 3.000 ლარამდე სესხი ყველაზე სწრაფად, გადავადების საკომისიოს გარეშე“ – ამგვარი შინაარსის მესიჯები ჩვენს ტელეფონში ლამის ყოველდღე ჩნდება.

სესხს გვთავაზობენ ინტერნეტით, სოციალური ქსელებით, სწრაფი სესხის შესახებ გვატყობინებენ ვებგვერდები, სადაც ამგვარი განცხადებების ადგილი თითქოს არ არის. ადამიანი, რომელსაც ფული სჭირდება და თანაც სასწრაფოდ, ამ შემოთავაზებას იოლად ჰყვება, ნასესხებ თანხას უკან დროულად ვერ აბრუნებს და ბოლოს დიდ უსიამოვნებაში ეხვევა.

ამ თემაზე ადვოკატი **ირაკლი უტიაშვილი** გვესაუბრება, რომელიც ონლაინსესხებით დაზარალებულ არაერთ ადამიანს შეხვედრია.

***– ბატონო ირაკლი, რა უნდა გაითვალისწინოს ადამიანმა, რომელიც ონლაინსესხის აღებას გადაწყვეტს?***

– როდესაც ადამიანი სესხს ინტერნეტით იღებს, არ იცის, რა ხალხთან, ან რა ორგანიზაციასთან აქვს საქმე. ამიტომ, ყველას ვურჩევ, დეტალურად გაარკვიოს ის პირობები, რომელთაც ესა თუ ის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გვთავაზობს და, თუ სხვა გამოსავალი არ აქვს, მხოლოდ მაშინ აიღოს სესხი.

ყველა ამ ორგანიზაციას აქვს თავისი ვებგვერდი. მიუხედავად იმისა, რომ იქ მოცემული ინფორმაცია მშრალია, მაინც უნდა გაეცნოთ, თუმცა ჯობია დარეკოთ და ყველა დეტალი გაარკვიოთ. ოპერატორები, რომლებიც ამ ზარებს პასუხობენ, კლიენტებს სრულყოფილ ინფორმაციას არ აწვდიან და მხოლოდ ზერელე ინფორმაციით შემოიფარგლებიან, ზოგჯერ კი არასწორ ინფორმაციასაც აწვდიან.

მართალია, ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას კაბალური პირობები აქვს, მაგრამ მათ შორის რაღაც განსხვავება მაინც არის და მსესხებელმა ეს განსხვავება უნდა გაითვალისწინოს.

***– თუმცა ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ პირველი სესხი უპროცენტოა.***

– გეთანხმებით, ზოგჯერ მითითებულია, რომ პირველი სესხი უპროცენტოა, მაგრამ ეს შეთავაზება ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას არ აქვს, თანაც უპროცენტო შეიძლება იყოს სესხი 300 ლარის ფარგლებში, მაგრამ კლიენტი უფრო მეტ თანხას თუ გაიტანს, მაშინ უკვე პროცენტიანია. ზოგიერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას პირველ ეტაპზე მართლაც აქვს უპროცენტო სესხები, ზოგს კი არ აქვს. მსესხებელმა ამ ნიუანსს ყურადღება აუცილებლად უნდა მიაქციოს. მით უმეტეს, სესხის დროულად დაფარვის შემთხვევაშიც პროცენტი ძალიან მაღალია.

ამის დასტურად რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს დავასახელებ.

თვე-ნახევრის წინ გიორგი.ნ-მა ერთ-ერთ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიმართა და სწრაფი სესხის სახით 1.200 ლარი მიიღო, რომელიც 30 დღის ვადაში უკან უნდა დაებრუნებინა. მართლაც დააბრუნა ეს თანხა, მაგრამ პროცენტის სახით თითქმის 500 ლარი გადაახდევინეს. გამოდის, რომ 30 დღეში 1.200 ლარიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ 500 ლარის მოგება მიიღო.

მეორემ 500 ლარი გამოიტანა და 30 დღის განმავლობაში დაახლოებით 800 ლარი მოსთხოვეს. ეს იყო პროცენტი, მიუხედავად იმისა, რომ ფული თავის დროზე დააბრუნა.

მომხმარებელს 300 ლარის სესხი ჰქონდა გამოტანილი, გადააცილა 30 დღეს და მოგვიანებით შეიტანა ძირი თანხა, მაგრამ ეს თანხა ჯარიმაში და პროცენტში ჩაუთვალეს. ამიტომაც, სესხი ისევ დაუფარავი დარჩა. 4-5 თვის შემდეგ კი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მსესხებლისგან 1.800 ლარის დაბრუნება მოითხოვა.

***– ე.ი. მისგან ექვსჯერ მეტი თანხა მოითხოვეს?***

– დიახ და ასეთი ფაქტები ძალიან ხშირია. ზოგიერთი ასეთი ორგანიზაცია წელიწადში 600-700-პროცენტიან მოგებაზე მუშაობს. როგორ შეიძლება, მომხმარებელმა 1.200 ლარი ისესხოს და 500 ლარი დამატებით გადაახდევინო? ეს უფრო ყაჩაღობა და თაღლითობაა, სხვა სახელს ვერც კი დავარქმევ.

ყველაფრის მიუხედავად, სქემა, რომლითაც ეს ორგანიზაციები ატერორებენ და ატყავებენ თავიანთ კლიენტებს, მშვენივრად მუშაობს. სწრაფი სესხი არის ნაცადი ხერხი, რომელმაც ჩვენთან გაამართლა, ამიტომაც მრავლდებიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ლამის ყოველდღე.

მე, როგორც ადვოკატი, თანამემამულეებს ვურჩევ, რომ ჯობია, ბანკს მიმართონ და იქიდან აიღონ თანხა, ვიდრე ონლაინსესხებით ისარგებლონ.



***– დავუშვათ, ადამიანმა უკვე აიღო სწრაფი სესხი და დროულად ვერ აბრუნებს. ამ შემთხვევაში რა უნდა იღონოს?***

– თუ უკვე გამოიტანეთ სწრაფი სესხი და ამ თანხას დროულად ვერ ფარავთ, მაშინ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას გადავადების მოთხოვნით უნდა მიმართოთ. გადავადებისთვის ეს ორგანიზაციები სარგებელს იღებენ: თუ მომხმარებელს სესხი 30 დღის განმავლობაში უნდა დაებრუნებინა და ვერ აბრუნებს, გარდა პროცენტისა და პირგასამტეხლოსი, გადავადებისთვის კიდევ დამატებითი თანხის გადახდა მოუწევს.

მე ყველას ვურჩევ, რომ თუ დროულად ვერ აბრუნებს გამოტანილ სესხს, არ ღირს ყოველ თვეში მცირე თანხის შეტანა, რადგან ეს თანხა მაინც პირგასამტეხლოსა და ჯარიმაში მიდის, ამას პროცენტიც ემატება და მთლიანობაში ეს თანხა დაკარგული გამოდის.

დავუშვათ, ისესხეთ 500 ლარი და დროზე ვერ დააბრუნეთ, იხდით 50, ან 60 ლარს ყოველთვიურად, ეს თანხა მიდის ჯარიმაში და დაკარგულია, რადგან მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ ბოლოს შეიძლება 2.000 ლარი და მეტიც მოითხოვოს. ამიტომ ჯობია, მსესხებელმა საერთოდ არ გადაიხადოს არაფერი, რადგან ბოლოს მაინც სამმაგი და ოთხმაგი თანხის დაბრუნება მოუწევს.

სამწუხაროდ, დროულად გადახდის შემთხვევაშიც პროცენტი შეუსაბამოდ მაღალია, ამიტომ მცირეოდენი თანხის შეტანას აზრი არ აქვს, ჯობია, ამ ფულს თავი მოუყაროთ და ერთიანად გადაიხადოთ.

***– ალბათ, ბევრი არც ეცნობა სწრაფი სესხის პირობებს. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაციის ვებგვერდზე ნათლად წერია, რომ ყველა გადაცილებულ დღეზე ჯარიმა ნასესხები თანხის 1 პროცენტია. ამიტომაც უწევს მსესხებელს სოლიდური თანხის გადახდა.***

– ბევრი მართლაც არ კითხულობს ამ პირობებს. თუ 300 ლარს ისესხებთ, 1% დღეში 3 ლარია და ერთ თვეში 90 ლარის გადახდა მოგიწევთ, ამას ემატება გადავადების საფასური და 2-3 თვეში 300 ლარის ნაცვლად სულ ცოტა, 600 ლარი უნდა გადაიხადოთ.

ამ სფეროს აუცილებლად სჭირდება რეგულირება, მარტო სასამართლოს ჩარევა საქმეს ვერ უშველის, თანაც სასამართლო ხშირად მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სასარგებლო გადაწყვეტილებას იღებს, რადგან ბევრ მსესხებელს არ აქვს ადვოკატის აყვანის და თავის დაცვის საშუალება. ამით სარგებლობენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და მსესხებელს უძრავ-მოძრავ ქონებას უყადაღებენ. სასამართლო სავსეა ამ ორგანიზაციების საჩივრებით, რომლებსაც კლიენტებისგან 5-6-7-ჯერ მეტი თანხის ამოღება სურთ.

***– და მაინც, როგორ უნდა მოხერხდეს ამ ყველაფრის რეგულირება?***

– ეს მხოლოდ ხელისუფლების ინიციატივით მოხერხდება. პირველ რიგში უნდა დადგინდეს ზღვრული საპროცენტო განაკვეთები არა მარტო ონლაინსესხებთან, არამედ საერთოდ, სესხებთან დაკავშირებით. სასამართლოს უნდა მიეცეს საშუალება, რომ უსამართლობა აღკვეთოს და არაკეთილსინდისიერ ორგანიზაციებს ხალხის მოტყუების საშუალება არ მისცეს.

რამდენიმე დღის წინ მომაკითხა კლიენტმა, რომელსაც ერთდროულად 7 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალი ჰქონდა დაგროვილი. თუ ასეთ უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდებით, უმჯობესია, სასამართლოს მიმართოთ და ადვოკატი აიყვანოთ. ამ შემთხვევაში იმაზე ბევრად ნაკლები თანხის გადახდა მოგიწევთ, რასაც თქვენგან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოითხოვს.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# სტამბოლში ქართველი ქალი დანით აჩეხეს

## „მზია დუნდუა სამი თვის გასამრჯელოს ითხოვდა“

სტამბოლში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს. ქართველი ემიგრანტების ინფორმაციით, გარდაცვლილი რუსთავის მკვიდრი, 2 შვილის დედა, 51 წლის მზია დუნდუაა. პროფესიით პედაგოგი სტამბოლში რამდენიმე წელი მუშაობდა და საქართველოში ოჯახს ფინანსურად ეხმარებოდა.

შოთა სიხარულიძის ინფორმაციით, ქართველ ქალს ოჯახის უფროსმა ქალმა დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა.

– მოკლული ქართველი ემიგრანტი თურქეთში, უკეთილშობილესი ქალბატონი მზია, რომელსაც 40 ჭრილობა მიაყენა ოჯახის უფროსმა ქალბატონმა, დანით დაჩეხა....

„შოთო სიხარულიძე ქართველი ემიგრანტები“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს, თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ლამაზი სული, უფალო, აკმარე საქართველოს ამდენი ემიგრანტის უბედურება... მარადიული ხსოვნა ყველა გარდაცვლილ ქართველ ემიგრანტს... საქართველოს ენით აღუწერელი ტკივილი ემიგრანტებია, – წერს სიხარულიძე.

ქართველი ემიგრანტის გარდაცვალების ფაქტი ნიუპოსტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაუდასტურეს.

უწყების პრესსამსახურის ცნობით, ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული, მომხდარზე კი გამოძიება მიმდინარეობს.

❖ ❖ ❖

სტამბოლში საქართველოს კონსულმა ირაკლი ასაშვილმა ინტერპრესნიუსს უთხრა, რომ გარდაცვლილი 51 წლის ქალია.

მისივე განმარტებით, საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი 2 ნოემბერს, საღამოს, იმ სახლში იპოვეს, სადაც მუშაობდა.

ასაშვილის ინფორმაციით, ის ესაუბრა საქმის პროკურორს და მისთვის ცნობილია, რომ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები უკვე ჩატარებულია.

– უკვე მოხდა შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ამოღებულია საცხოვრებელ სახლში არსებული კამერებიდან ვიდეოჩანაწერები, დაიკითხა სახლის მეპატრონე, ასევე სახლში არის დაცვა და დაცვის თანამშრომლები არიან დაკითხულები. ახლა გამოძიება ელოდება ექსპერტიზის დასკვნას. მისი მიღების შემდეგ ჩანიშნული მაქვს პროკურორთან შეხვედრა.

ამ ეტაპზე გარდაცვალების ყველა ვერსია განიხილება. ერთადერთი ფაქტი, რომელიც ვიდეომასალიდან ჩანს, არის ის, რომ ქალის გარდაცვალების დროს სახლის მეპატრონე სახლში არ იმყოფებოდა, – განაცხადა ირაკლი ასაშვილმა.

მისი ინფორმაციით, გარდაცვლილის გადმოსვენების ხარჯებს სახელმწიფო დაფარავს, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, როდის მოხდება მისი გადმოსვენება.

❖ ❖ ❖

თურქეთში მცხოვრები ერთ-ერთი ემიგრანტი „კვირას“ მომხდარის დეტალებზე ესაუბრა.



– როგორც ჩემთვის არის ცნობილი, მზია დუნდუა სამი თვის გასამრჯელოს ითხოვდა. ოჯახის დიასახლისი მას ამ კუთვნილ თანხას არ უხდიდა. მზია ჩვენთან ამბობდა, რომ, როგორც კი თანხას მიიღებდა, საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო. იგი პროფესიით პედაგოგი იყო და ოჯახში ბავშვს უვლიდა.

ოჯახის დიასახლისს მისთვის სამი თვის ხელფასი არ გადაუხდია. მზიას ოჯახი რუსთავში ცხოვრობს. ორი ვაჟის დედა იყო. მისი გარდაცვალების ამბავი ოთხშაბათს, 2 ნოემბერს, გავიგეთ. სამშაბათს, 1 ნოემბერს, მზიამ თანხა მოითხოვა და მას და ოჯახის დიასახლისს შორის კონფლიქტი მოხდა.

მზიას მუცლის არეში 2 ჭრილობა აქვს დანით მიყენებული და ვენებიც გადაჭრილი აქვს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ოჯახის დიასახლისი მეუღლესთან არის გაცილებული და ქმარი გერმანიაში ჰყავს. კაცი გერმანიიდან ფულს უგზავნიდა, მაგრამ მზიას თანხას არავინ აძლევდა. ოჯახს იმის საშუალება არ აქვს, რომ ადვოკატი აიყვანოს, არც საკონსულოდან გვაქცევენ ყურადღებას, – ამბობს „კვირასთან“ საუბრისას თურქეთში მყოფი ქართველი.

მისივე თქმით, შემთხვევის ადგილზე ადგილობრივი პოლიციის თანამშრომლებიც იმყოფებოდნენ. მომხდარ ფაქტზე დაწყებულია გამოძიება.

„კვირა“ ამ საკითხთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, საკონსულომ მომხდარი ფაქტი დაადასტურა, თუმცა კონკრეტული ინფორმაციების გამჟღავნებისგან თავი შეიკავა.

საკონსულოს ინფორმაციით, მზია დუნდუას ცხედარი ექსპერტიზის ბიუროშია მოთავსებული. საკონსულოში არ აკონკრეტებენ, რა გახდა მზია დუნდუას გარდაცვალების მიზეზი. მისივე ინფორმაციით, თურქული მხარე გამოძიების დეტალებს არ ახმაურებს.

„კვირა“ სტამბოლში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანაშემწე ლალი ნაკაიძესაც გაესაუბრა, რომელმაც გარდაცვლილ მზია დუნდუას შესახებ საუბარი არ ისურვა. ლალი ნაკაიძემ „კვირა“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გადაამისამართა.

# ნიკა გვარამია: „შეუძლებელია, ერთი ხელით ეს შენობა ჩანაწერებს აკეთებდეს, მეორე ხელით კი მათ იძიებდეს“

## რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი შსს-ში გამოკითხეს



გუშინ, 3 ნოემბერს, რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია შს სამინისტროში გამოკითხვაზე იმყოფებოდა.

– გამოძიებას მე ჩემ შესახებ არსებული ყველა ინფორმაცია მივაწოდე, თუმცა მათი მხრიდან შეკითხვები ეხებოდა, თუ რა გარემოებებში მოხდა საუბრის ჩაწერა. მე ამ დეტალებზე არ ვისაუბრე, რადგან კანონი მაძლევს ამის საშუალებას, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

გამოკითხვაზე მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ აუდიოჩანაწერი, რომელზეც უწყებაში გამოკითხვაზე იყო დაბარებული, მისი ჩაწერილია, თუმცა დამონტაჟებულია უცხო პირების მიერ იმგვარად, რომ მამუკა ახვლედიანს ზიანი მიადგეს.

მისივე მტკიცებით, რეალურად საუბარში საკითხი არ შეეხებოდა ქრთამის შეთავაზებას, როგორც ეს ჩანაწერში ჩანს.

– უწყების მხრიდან იყო შეკითხვები 6 მილიონთან დაკავშირებითაც. ეს არაკორექტული შეკითხვები იყო, ვინაიდან გამოძიება ეხება ინფორმაციის უკანონოდ მოპოვებას და არა ჩანაწერის შინაარსს. მე ასევე დავაკონკრეტე, რომ თანხაზე საუბრის ნაწილი არ ეხებოდა მამუკა ახვლედიანს, შემხებლობაში არ იყო საქმესთან. ქრთამის შეთავაზებაზე ახვლედიანთან არ ყოფილა საუბარი. ან რატომ უნდა შემეთავაზებინა, ის რუსთავი 2-თან დაკავშირებით გადაწყვეტილებებს არ იღებდა, – განაცხადა ნიკა გვარამიამ.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი ვარაუდობს, რომ შესაძლოა ჩანაწერი შიგნიდან იყოს გამოტანილი.

– შესაძლებელია, შიგნიდან იყოს გამოტანილი და არ გამოვრიცხავ, ჩემს თანამშრომლებს გამოეტანათ, რადგან სუს-მა ადრე უკვე დაამონტაჟა მოსასმენი აპარატურა ჩემს კაბინეტში, – აღნიშნა მან.

გვარამიას თქმით, გამოძიების იმედი არ აქვს, რადგან პროცესების მართვა სწორედ სპეცსამსახურების მხრიდან მიმდინარეობს.

– არავითარი იმედი არ მაქვს იმიტომ, რომ ეს ყველაფერი იმართება ამავე შენობიდან, შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ერთი ხელით ეს შენობა ჩანაწერებს აკეთებდეს და აქვეყნებდეს და მეორე ხელით იძიებდეს საკუთარი თავის წინააღმდეგ შედეგებს, – განაცხადა გვარამიამ.

რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი გამოკითხვაზე ადვოკატთან ერთად იმყოფებოდა. მისი გამოკითხვა 3 საათს გაგრძელდა.

# „უმოწყალოდ სცემდა, ჩამოუყარა კბილები, დაულეწა ნეკნები, გაუტეხა ცხვირი“

## არასრულწლოვან ცოლზე ძალადობის ბრალდებით 29 წლის მამაკაცი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ არასრულწლოვან ცოლზე ძალადობის ბრალდებით ახალგაზრდა მამაკაცი დააკავა.

დაკავებული 29 წლისაა.

დაზარალებულის დედა „მაესტროსთან“ ამბობს, რომ მისი არასრულწლოვანი გოგონა ზრდასრულმა მამაკაცმა ცოლად 4 თვის წინ არასრულწლოვანისავე თანხმობით მოიყვანა. ისინი არაოფიციალურ ქორწინებაში იმყოფებოდნენ. დედის თქმით, მისი ყოფილი სიძე 15 წლის გოგონას გაყინული ბოთლითა და ხელკეტით სცემდა.

ამ შემზარავ ისტორიას კიდევ უფრო ამძიმებს ის ფაქტი, რომ მოძალადემ არასრულწლოვანი დააინფიცირა.

– ბიჭს ტუბერკულოზი ჰქონია, მაგრამ ამას არც თვითონ და არც მისი ოჯახის წევრები არ ამხელდნენ. ცოლის მოყვანიდან მალევე დაიწყო ჩემი შვილის წამება და არაადამიანური მოპყრობა. უმოწყალოდ სცემდა, ჩამოუყარა კბილები, დაულეწა ნეკნები, გაუტეხა ცხვირი, თავის არეში სულ ბოთლს



ურტყამდა. მთელ ზურგზე სულ წიხლების კვალი ეტყობა. ექსპერტიზაზე რომ მივიყვანეთ, ექსპერტმა თქვა, განზრახ სიცოცხლის მოსპობა ჰქონდა ამ კაცს განზრახულიო, – აცხადებს არასრულწლოვანი გოგონას დედა.

დაზარალებულის ოჯახის თქმით, მოძალადე მამაკაცი უკვე დაკავებულია, თუმცა მას ერთადერთი ბრალი ძალადობის მუხლით აქვს წაყენებული, დაზარალებულის ოჯახი კი მოძალადე მამაკაცის ბრალის დამძიმებას ითხოვს.

– მინდა, რომ არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დამყარებისთვის გამო აგოს პასუხი. მან ჩემს შვილს მთელი ცხოვრება დაუმახინჯა. აუცილებლად უნდა აგოს პასუხი იმისთვისაც, რომ ჩემს შვილს განზრახ გადასდო დაავადება, – ამბობს დედა.

დაზარალებულის ადვოკატი ელისო რუხაძე ამბობს, რომ საქმეში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები ვლინდება.

– ბრალდების დადასტურების შემთხვევაში, მოძალადეს გაცილებით მეტი სასჯელი მოელის, – აღნიშნა ადვოკატმა.

# სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე, საქართველოს მოქალაქე ლაშა შ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2016 წლის ოქტომბერში ლაშა შ. აფხაზეთიდან დევნილ საქართველოს მოქალაქეს დაჰპირდა, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების დახმარებით ქ. თბილისის ტერიტორიაზე მიიღებდა საცხოვრებელ ბინას, რის სანაცვლოდაც მოსთხოვა 6000 აშშ დოლარი. მიმდინარე წლის 2 ნოემბერს ლაშა შ-მ აღნიშნულ პირს მოტყუებით, თაღლითურად გამოართვა მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 3000 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დააკავეს.

გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 19-180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს).

გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს.




# შსს მარნეულის ბაზარში ქალის მკვლელობას არ ადასტურებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო მარნეულის ბაზარში ქალის მკვლელობის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს.

როგორც ინტერპრესნიუსს შსს-ში განუცხადეს, ქალის გარდაცვალების ფაქტი დაფიქსირდა, თუმცა ის ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით დაიწყო, რაც გულისხმობს სიცოცხლის მოსპობას გაუფრთხილებლობით.

არსებული ინფორმაციით, ქალი ბაზარში მუშაობდა. ის შეუძლოდ სხვა მოვაჭრეებთან კამათის შემდეგ გახდა.


**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ალან ლიხტმანი: „ტრამპი გაიმარჯვებს“

ლიხტმანმა ყველა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი გამოიცნო

ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში. ერთმანეთის მიყოლებით ქვეყნდება რეიტინგები, რომლებიდანაც ჩანს, რომ უმეტეს შემთხვევაში ჰილარი კლინტონი მცირე უპირატესობით, მაგრამ მაინც ლიდერობს.

სხვა შეხედულება აქვს პოლიტოლოგს, პროფესორ ალან ლიხტმანს.

მან 1984 წლიდან ყველა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი გამოიცნო. ამჟამად ის აცხადებს, რომ ამერიკის ახალი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გახდება.

ლიხტმანი თვლის, რომ რიგ საკითხებში ობამამ მნიშვნელოვანი შეცდომები დაუშვა. უწინარეს ყოვლისა, ეს შეეხება სირიას, სადაც გაჩაღდა ომი, რომელიც მთელ რეგიონს დესტაბილიზაციას უქადის. ამას გარდა, პოლიტოლოგი დაწვრილებით მიმოიხილავს როგორც ევროკავშირში, ისე პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე მოვლენებს. ლიხტმანი ხაზს უსვამს, რომ ევროკავშირში გაჩნდა პრობლემები (ბრექსიტი, იტალია და ა.შ.).

ასევე სერიოზული მარცხია პუტჩი თურქეთში, სადაც ამერიკას ჰქონდა ყველა ბერკეტი, რომ მოვლენების ამ სცენარით განვითარება არ დაეშვა.



– თურქეთის პუტჩმა ნატოს სამხრეთი ფლანგი მოასუსტა. ეს ობამას ადმინისტრაციის სერიოზული მარცხია, – თვლის ლიხტმანი.

პოლიტოლოგი რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობებსაც მიმოიხილავს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ფრიად საინტერესო მოვლენები განვითარდა. პუტინმა ევრაზიული კავშირის შექმნა დაიწყო. ობამას ადმინისტრაციამ ამას ვერაფერი დაუპირისპირა. ამ კავშირში გაწევრიანდნენ რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი. შემდეგ მათ შეუერთდნენ სომხეთი და ყირგიზეთი. ის, რომ ევრაზიულ კავშირს უკრაინა არ შეუერთდა, უკრაინელი ხალხის დამსახურებაა და არა ობამასი.

უკრაინელები ტყვიაზე წავიდნენ, მაგრამ თავიანთი ევროპული არჩევანი დაიცვეს. დონბასის ომის დროს ობამამ უკრაინელებს ლეტალური იარაღის მიწოდებაზე უარი განუცხადა. მეტიც, თეთრი სახლის წარმომადგენელი ნულანდი კიევში ჩადიოდა და უკრაინელებს არწმუნებდა, დონბასში არჩევნები რაც შეძლება სწრაფად ჩაატარეთო.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ლიხტმანი აკეთებს დასკვნას, რომ დემოკრატების რვაწლიანი მმართველობის შემდეგ ცვლილებები გარდუვალია. დემოკრატების რიგებში არ არსებობს ეროვნული გმირი, რომელიც საერთო-სახალხო მხარდაჭერით ისარგებლებს.

ვინ შეცვლის დემოკრატებს? არ არსებობს მესამე ძლიერი კანდიდატი. შესაბამისად, რჩება ერთი: რესპუბლიკელები, რომელთა კანდიდატიც პრეზიდენტის პოსტზე დონალდ ტრამპია.

– ამერიკის ახალი პრეზიდენტი ტრამპი გახდება, – ასკვნის ლიხტმანი.

იმას, თუ რამდენად გამართლდება ამერიკელი პროფესორის პროგნოზი, მალე შევიტყობთ. არჩევნებამდე ერთ კვირაზე ნაკლები დარჩა.

## ბრძოლა მოსულისთვის გრძელდება



ერაყის არმიის სპეცრაზმმა მოსულის ტელესტუდიის შენობა დაიკავა, მაგრამ ანაზდად ამოვარდნილმა ქვიშიანმა ქარიშხალმა ერაყელთა შემდგომი წინსვლა შეაჩერა.

მოსულის მოსახლეობა ცდილობს, ქვიშიანი ქარიშხლის მიუხედავად, ქალაქი დატოვოს. ეს ძალიან ძნელია, რადგან გზები დანაღმულია. ლტოლვილებს ისლამური სახელმწიფოს სნაიპერებიც ცეცხლს უხსნიან. მიუხედავად ამისა, ლტოლვილთა რაოდენობა არ იკლებს, რადგან ქალაქში დარჩენა უფრო მეტ ხიფათს შეიცავს.

მოსულის მოსახლეობას არ აქვს წყალი, პროდუქტები. ქალაქში არ წყდება სროლები.

## სამხრეთ კორეაში პრეზიდენტის მრჩეველი დააკავეს



სამხრეთ კორეის პროკურატურამ პრეზიდენტის მრჩეველი ან ჩომ ჰომი დააკავა. მას ბრალად თანამდებობის ბოროტად გამოყენება ედება.

ვარაუდობენ, რომ ან ჩონ ჰომი აიძულებდა ბიზნესმენებს, გადაერიცხათ ფული მმართველი პარტიის, აგრეთვე იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მხარს მმართველ პარტიას უჭერენ და მის მიერ კონტროლდებიან.

## პუტინი თავისუფალი პრესის მტრად შერაცხეს



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი თავისუფალი პრესის მტრად შერაცხეს.

ამის თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრის გარეშე“ იუწყება.

პუტინთან ერთად ასეთი „პატივი“ ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვსაც ერგო.

– პუტინს გააჩნია ყველასა და ყველაფრის გაკონტროლების მანიაკური მისწრაფება. ის თავისუფალი პრესის გაკონტროლებასაც ცდილობს, – ნათქვამია განცხადებაში.

## ოლეგ პოპოვი გარდაიცვალა

დონის როსტოვში გარდაიცვალა ცნობილი რუსი ჯამბაზი ოლეგ პოპოვი (1930-2016).



მან სახელი „მზის კლოუნით“ გაითქვა. 1991 წელს პოპოვი გერმანიაში გადასახლდა, სადაც „ბედნიერი ჰანსის“ სახე შექმნა.

პოპოვის სახელთანაა დაკავშირებული მთელი ეპოქა რუსული ცირკის ისტორიაში. მსახიობი უაღრესად ერუდირებული, განათლებული და ინტელიგენტი ადამიანი იყო.

რუსეთის საგამოძიებო კომიტეტმა პოპოვის სიკვდილთან დაკავშირებით სპეციალური განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ პოპოვი საეჭვო გარემოებაში გარდაიცვალა და აუცილებელია მისი სიკვდილის გარემოებათა გამოძიება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## სირიელი პარტიზანები ალეპოს დატოვებაზე კვლავ უარს აცხადებენ



სირიელმა პარტიზანებმა რუსების გენშტაბის განცხადებას ალეპოს ჰუმანიტარული დერეფნის შესახებ თვალთმაქცობა უწოდეს. ისინი ამბობენ, რომ ქალაქს არ დატოვებენ და ბოლომდე იბრძოლებენ.

– ალეპოს აუცილებლად დავიცავთ, – ამბობენ პარტიზანები.

ალეპოში რუსი სამხედრო ექსპერტები ჩავიდნენ. მათი ამოცანაა დაამტკიცონ, რომ სირიელმა პარტიზანებმა სამთავრობო ძალების წინააღმდეგ ქიმიური იარაღი გამოიყენეს.

## ექსტრემისტები თურქეთს ემუქრებიან



ისლამური სახელმწიფოს ლიდერმა ალ-ბაღდადიმ ინტერნეტით თავისი ვიდეომიმართვა გაავრცელა.

ალ-ბაღდადი აცხადებს, რომ თურქეთი თავისი მოქმედებების გამო დაისჯება.

– ჩვენ განვახორციელებთ აქციებს თურქეთში. აფეთქდება ავტობუსები, ბაზრები, სახლები. თურქები სისხლში იცურავებენ, – ამბობს ალ-ბაღდადი.

## საუდის არაბეთში პრინცი გაროზგეს



საუდის არაბეთის ერთ-ერთ ციხეში სამეფო დინასტიის წარმომადგენელი გაროზგეს.

გაზეთებში არ არის დასახელებული პრინცის ვინაობა, არც ის, თუ რისთვის დაიმსახურა მან ასეთი სასჯელი. მოკლე ინფორმაცია მკითხველს ატყობინებს, რომ პრინცმა ისლამური კანონები დაარღვია და ამის გამო დაისაჯა.


**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

● ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან განკურნება, „პახმელია“, „ზაპოი“, აგრესიულობა, ალკოჰოლდამოკიდებულების მოხსნა (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში), სიგარეტის მწეველობისგან განთავისუფლება ფილტვების გაწმენდით, ნერვული სტატუსის მოწესრიგებით, ნიკოტინდამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პროდუქტით. ტელ: 599-45-88-66; 555–45-13-45. საიტი: carabadini.com

# ხელბურთელებმა ევროშესარჩევი იტალიასთან მარცხით დაიწყეს

## იტალია-საქართველო 26:19

**იტალია:** ფოვიო, პოსტონია, როსი; ტურკოვიჩი (10 ბურთი), რადოვჩიჩი (5), ჯანოკარო (4), ზონერერი (2), ვენტური (2), იბალი (1), სპერტი (1), ვოლპი (1), სკატარი, კოლაზუონო, მორეტი, პარიზინი, დარიპანი

**საქართველო**: თევზაძე, ცინცაძე; ჭანტურია (6), წითელიშვილი (4), ჩიქოვანი (3), ორჯონიკიძე (3), გრიშიკაშვილი (1), აბრამიშვილი (1), არსენაშვილი (1), სიმონია, რუსტამოვი, დიხამინჯია, დათუკაშვილი



ხელბურთის ეროვნულმა ნაკრებმა წაგებით დაიწყო ევროპის 2020 წლის ჩემპიონატის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი და სირაკუზაში 19:26 დამარცხდა იტალიასთან.

6 ნოემბერს იმავე მეტოქეს თბილისის სპორტის სასახლეში მივიღებთ. მთავარ შესარჩევ რაუნდში მხოლოდ ჯგუფის გამარჯვებული გადის.

პირველი ტაიმი თანაბარი იყო. თავიდან შეტევაში ჩვენი გუნდი არეული იყო და იტალია 2:0 დაწინაურდა, მაგრამ მეკარე შოთა თევზაძემ ზედიზედ მოიგერია რამდენიმე ბურთი, ჭანტურიამ და წითელიშვილმა გაათანაბრეს, ჩიქოვანმა კი მე-15 წუთზე წინ გაიყვანა საქართველო – 5:4.

არსენაშვილისა და ორჯონიკიძის დარტყმების შემდეგ კიდევ ორჯერ დავწინაურდით, შემდეგ კი იტალიამ რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენა და ტურკოვიჩმა 26-ე წუთზე ორი ბურთით დააწინაურა იტალია, მაგრამ შესვენებაზე ერთბურთიანი ჩამორჩენით გავედით – 10:11.

35-ე წუთზე გრიშიკაშვილმა კიდევ ერთხელ გაგვიყვანა წინ – 13:12, იტალის ყველაზე შედეგიანმა მოთამაშემ, დეან ტურკოვიჩმა (10 გოლი) გაათანაბრა, მომდევნო შეტევაში კი მასპინძელთა მწვრთნელმა ფრედი რადოიკოვიჩმა პერსონალურად ააყვანინა საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი ირაკლი ჩიქოვანი.

ეს მომენტი გადამწყვეტი გამოდგა. ქართველებს შეტევა გაეჭედათ, იტალიამ კი შემდეგი 10-წუთიანი მონაკვეთი 9:1 მოიგო და 21:14 დაწინაურდა.

დარჩენილ დროში მნიშვნელოვანი იყო, რა სხვაობით წავაგებდით, მაგრამ იტალიამ შვიდბურთიანი უპირატესობა შეინარჩუნა 26:19, რის შემდეგაც საპასუხო მატჩის წინ საკმაოდ რთულ სიტუაციაში ვართ.

საჭიროა მეტოქის 8 ბურთით დამარცხება, რათა ჯგუფის მესამე მეტოქესთან, ლუქსემბურგთან მატჩების წინ იტალიაზე უკეთეს მდგომარეობაში ვიყოთ.

ნაკრებს იტალიაში არ ახლდა უკანა ხაზის ორი ლიდერი, ტრავმირებული ვლადიმერ რუსია და რატი მსხვილიძე. ვერ ითამაშა ვერც სერგო დათუკაშვილმა, რომელსაც ფეხის ტრავმა ჰქონდა.

თბილისში დაგვემატება მსხვილიძე. თამაში 6 ნოემბერსაა.

# საქართველოს თასის ფინალში ტორპედო და მერანი ითამაშებენ

### დინამო (თბ)-ტორპედო 2:3

<u>თბილისი. დინამო არენა</u>

<u>0:1 ტაბატაძე (19), 1:1 ჯიღაური (30), 1:2 ქიმაძე (46),2:2 ჯიღაური (62), 2:3 დოლიძე (63)</u>

**დინამო:** რევიშვილი, ლობჟანიძე, ლოჩოშვილი (მიქელთაძე 56), ამისულაშვილი, ცინცაძე, ჭანტურიშვილი, დვალიშვილი, კიტეიშვილი, პარუნაშვილი (ზარია 60), ჯიღაური, ველევი

**ტორპედო:** კვასხვაძე, ტაბატაძე, გურული, ჭიჭინაძე, ქიმაძე, ფალავანდიშვილი, მამასახლისი, ბაბუნაშვილი (კუჭუხიძე 62), კაპანაძე (ნერგაძე 90), დოლიძე (ბენაშვილი 85), ტუღუში

**გაძევება:** დვალიშვილი (81)



უაღრესად დაძაბული გამოდგა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალი დინამოსა და ტორპედოს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ფავორიტი დინამო იყო, ქუთაისელებმა თასის 13-გზის მფლობელებთან შესაშური მონდომებით ითამაშეს და მასპინძლები 3:2 დაამარცხეს. აღსანიშნავია, რომ ეს ტორპედოს პირველი გამარჯვებაა დინამოსთან სათასო შეხვედრათა ისტორიაში.

მატჩი ტორპედოელთა უპირატესობით დაიწყო. ბურთს ისინი აკონტროლებდნენ. რამდენჯერმე საჯარიმო დარტყმებით სცადეს გატანა, მაგრამ ჩარჩოში ბურთი ვერ მოახვედრეს. პირველი მეტნაკლები ხიფათი კი ტორპედოს კართან შეიქმნა, როდესაც ვლადიმერ დვალიშვილის გამჭოლი პასის შემდეგ მეკარის ბაქანთან არეულობა შეიქმნა, თუმცა ვახო ჭანტურიშვილი ვერ გაერკვა სიტუაციაში და კარშიც ვერ დაარტყა.

ტორპედოელები მე-19 წუთზე ვაჟა ტაბატაძემ იშვიათი სილამაზის გოლით დააწინაურა. ქუთაისელთა მცველმა დაახლოებით 30 მეტრიდან და მახვილი კუთხიდან უძლიერესად გაისროლა და ბურთიც ძელიდან ასხლეტით შევარდა ნუკრი რევიშვილის კარში.

გატანილი გოლის შემდეგ ტორპედო მოეშვა, ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა და დინამოელებმა გათანაბრება არ დააგვიანეს. ქუთაისელთა კარში ეფექტური დარტყმით ულამაზესი გოლი ჯამბულ ჯიღაურმა გაიტანა და შესვენებამდე ანგარიში აღარ შეცვლილა.

მე-2 ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც გიორგი ქიმაძემ ალექსანდრე ამისულაშვილს შეცდომა არ აპატია და ისევ წინ გაიყვანა ტორპედო.

რიონისპირელები მეორედ დაწინაურდნენ და მეორედ გადაულოცეს ინიციატივა მეტოქეს. ესეც კარგად გამოიყენა დინამომ და ისევ ჯიღაურის ზუსტი დარტყმის შემდეგ ანგარიში კვლავ გათანაბრდა – 2:2.

თანაფარდობა სულ რაღაც ერთ წუთს შენარჩუნდა. ქიმაძემ ბრწყინვალედ ითამაშა მარცხენა ფლანგზე, სადაც დინამოელთა ბულგარელ ლეგიონერ სტეფან ველევს თავგზა აუბნია, საჯარიმოში შეიჭრა და კარის გასწვრივ გაგზავნა ბურთი, რომელსაც გრიგოლ დოლიძემ ფეხი მიჰკრა და კარში გადაგზავნა.

ეს გოლი გადამწყვეტი გამოდგა ამ შეხვედრაში. ბევრი მცდელობის მიუხედავად, დინამომ ველარ შეძლო მწყობრად მოთამაშე მეტოქესთან გამკლავება, თანაც მატჩის უკანასკნელი მონაკვეთი დინამოელები რიცხობრივ უმცირესობაში იყვნენ, ვინაიდან არბიტრის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან ვლადიმერ დვალიშვილი იქნა გაძევებული.

### მერანი-ჩიხურა 3:0

<u>მარტვილი. მურთაზ ხურცილავა</u>

<u>1:0 ქანთარია (35), 2:0 წყაროზია (53პ), 3:0 წოწონავა (90)</u>

**მერანი:** კუპატაძე, ციმაკურიძე, ორბელაძე, ლომაშვილი, გეგია, გიორგაძე, წყაროზია, ტეიდი, შულაია (ლუკავა 90), ქანთარია (ანთია 89), ჯიქია (წოწონავა 65)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, რეხვიაშვილი, ჩიკვაიძე, თ.გრიგლაშვილი (კაკუბავა 81), გორგიაშვილი, განუგრავა, ლექვთაძე (დეკანოიძე 56), გვალია (კორიფაძე 56), ს.ლობჟანიძე, ტატანაშვილი

საქართველოს თასის ფინალში პირველად იასპარეზებს მარტვილის მერანი. პირველლიგელმა გუნდმა უმაღლესი ლიგის თეთრი ჯგუფის ლიდერს – საჩხერის ჩიხურას უმასპინძლა და 3:0 დაამარცხა მეტოქე.

ანგარიში 35-ე წუთზე გაიხსნა. მარტვილელთა შემტევმა ზვიად ქანთარიამ მცველების შეცდომით ისარგებლა და მეკარეს ბურთი თავზე გადაუგდო. მასპინძლებმა უპირატესობის განმტკიცება მეორე ტაიმში მოახერხეს, 53-ე წუთზე 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ზუსტად აკაკი წყაროზიამ შეასრულა. საბოლოო ანგარიში კი 90-ე წუთზე დაფიქსირდა. საჩხერელთა კარი ლევან წოწონავამ აიღო.

მაშ ასე, 22 ნოემბერს ზესტაფონში 2016 წლის თასის ფინალია: ტორპედო-მერანი.

# მერვედფინალისტებს დორტმუნდი შეუერთდა

**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მე-4 ტური დასრულდა. მერვედფინალში უკვე გასულ 4 გუნდს მეორე დღეს მხოლოდ დორტმუნდი დაემატა.**

## ე ჯგუფი

### ტოტენჰემი-ლევერკუზენი 0:1

<u>0:1 კამპლი (65)</u>

**ტოტენჰემი:** ლორისი, უოკერი, დაიერი, ვერტონგენი, დევისი, დემბელე (იანსენი 30), ვანიამა, ალი, ერიკსენი (ვინკსი 66), სისოკო, სონი (ნკუდუ 73)

**ლევერკუზენი**: ლენო, ვენდელი, თა, თოფრაქი, ჰენრიხი, ბაუმგარლტლინგერი, არანგისი (ჰავერტსი 86), კამპლი (ფოლანდი 85), ბრანდტი (ჩალჰანოღლუ 70), ჩიჩარიტო, მეჰმედი

ლონდონური დაპირისპირება დღის ცენტრალური მატჩი იყო და მოლოდინიც გაამართლა. მართალია, მაყურებელმა გოლები მრავლად ვერ იხილა, მაგრამ სწრაფი და აზრიანი თამაში გამოდგა.

ანგარიში 65-ე წუთზე გაიხსნა, როცა კევინ კამპლმა ინგლისელ მცველთა უხეში შეცდომებით ისარგებლა.

### მონაკო-ცსკა 3:0

<u>1:0 ჟერმენი (12), 2:0, 3:0 ფალკაო (28, 41)</u>

**მონაკო:** სუბაშიჩი, სიდიბე, გლიკი, ჟემერსონი (რაგი 89), მენდი, ფაბინიო, სილვა, ბაკაიოკო, ლემარი, ფალკაო (კარილიო 74), ჟერმენი (ლოტენი 84)

**ცსკა:** აკინფეევი, ფერნანდესი, ვ.ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, შენნიკოვი (ნაბაბკინი 90), ვერმბლოომი, ნატხო, ტოშიჩი (მილანოვი 71), გოლოვინი, იონოვი, სტრანდბერგი (ტრაორე 63)

მოსკოვის ცსკა-ს მეკარე იგორ აკინფეევი ტრადიციას არ არღვევს და უკვე ზედიზედ 41-ე საჩემპიონთა ლიგის მატჩში გაუშვა გოლი, თანაც 3 და რუსული არმია მონაკოს სათავადოში განადგურდა.

მონაკოელთთვის სასურველი ანგარიში უკვე პირველ ტაიმში დაფიქსირდა, როდესაც 3 გოლი გაუტანეს რუსებს. ანგარიში ვალერი ჟერმენმა გახსნა, შემდეგ კი შესვენებამდე ორი გოლის გატანა რადამელ ფალკაომ შეძლო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 4 | 2 | 2 | 0 | 7-3 | 8 |
| 2.ლევერკუზენი | 4 | 1 | 3 | 0 | 4-3 | 6 |
| 3.ტოტენჰემი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-3 | 4 |
| 4.ცსკა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-7 | 2 |

**მომდევნო ტური**

**22 ნოემბერი:** ცსკა-ლევერკუზენი; მონაკო-ტოტენჰემი.

## ფ ჯგუფი

### დორტმუნდი-სპორტინგი 1:0

<u>1:0 რამოსი (12)</u>

**დორტმუნდი:** ბიურკი, გინტერი, პაპასტატოპულოსი, ბარტრა, გერერო, პულიშიჩი, გიოტცე (როდე 69), ვაიგლი, კასტრო (პიშჩეკი 69), დემბელე (შიურლე 46), რამოსი

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, ოლივეირა, კოატესი, სემედო, შელოტო, კარვალიო, სეზარი (სილვა 58), ზეეგელაარი, მარტინში, რუისი (მარკოვიჩი 78), კასტაინოსი (დოსტი 46)



დორტმუნდელებმა ვადამდე მოიპოვეს მერვედფინალის საგზური და ეს გასაკვირიც არ არის. ტუხელის გუნდი, ბუნდესლიგისგან განსხვავებით, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ლიგაზე.

ადრიან რამოსმა ადრიანი გოლით დააწინაურა დორტმუნდი და მატჩის ბედიც მან გადაწყვიტა – 1:0.

### ლეგია-რეალი 3:3

<u>0:1 ბეილი (1), 0:2 ბენზემა (35), 1:2 აჯიჯა-ოფოე (40), 2:2 რადოვიჩი (58), 3:2 მულენი (83), 3:3 კოვაჩიჩი (85)</u>

**ლეგია:** მალარჟი, ბერეჟისკი, პაზდანი, რჟეზნიჩაკი, ჰლუშეკი, კოპჟუნსკი, მულენი, გილერმე, აჯიჯა-ოფოე (იოდლოვეცი 87), რადოვიჩი (პრიოვიჩი 77), ნიკოლიჩი (კუჩარჩიკი 69)

**რეალი:** ნავასი, კარვახალი, ნაჩო, ვარანი, კოენტრაო (ასენსიო 77), ბეილი, კროოსი, კოვაჩიჩი, მორატა (დიასი 85), რონალდო, ბენზემა (ვასკესი 65)

„სამეფო კლუბი“ აუტსაიდერ ლეგიას ესტუმრა და ყველა მათ იოლ გამარჯვებას ვარაუდობდა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა, რეალი კინაღამ ქულის გარეშე დარჩა.

არადა, გარეთ ბეილმა პირველივე წუთზე გაუტანა პოლონურ კლუბს შემდეგ კი ქარიმ ბენზემასაც გაატანინა და ზინედინ ზიდანის გუნდმაც საკმაოდ კომფორტული ფორა შეიქმნა, თუმცა ჯერ ოჯიჯა-ოფოემ გაიტანა ფანტასტიკური გოლი, 58-ე წუთზე მიროსლავ რადოვიჩმა სულაც გაათანაბრა, ხოლო 83-ე წუთზე ტიბო მულენმა წინ გაიყვანა პოლონური გუნდი, მაგრამ იქვე მატეო კოვაჩიჩმა გაათანაბრა და – 3:3.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 2.რეალი | 4 | 2 | 2 | 0 | 12-7 | 8 |
| 3.სპორტინგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-5 | 3 |
| 4.ლეგია | 4 | 0 | 1 | 3 | 4-16 | 1 |

**მომდევნო ტური**

**22 ნოემბერი:** სპორტინგი-რეალი; დორტმუნდი-ლეგია.

## ჯ ჯგუფი

### კოპენჰაგენი-ლესტერი 0:0

**კოპენჰაგენი:** ოლსენი, ანკერსენი, იორგენსენი, იოჰანსონი, აუგუსტინსონი, ვერბიჩი (კუსკი 83), კვისტი, დელანი, იენსენი (ტუტუ 65), სანტანდერი, კორნელიუსი

**ლესტერი:** შმეიხელი, ერნანდესი, ჰუტი, მორგანი, ფუხსი, ამარტეი, დრინკვოტერი, მაჰრეზი, შლუპი (ოკაზაკი 71), ვარდი, მუსა

ჯგუფის ლიდერი ლესტერი კოპენჰაგენს ესტუმრა და 0:0 დაუზავდა. ინგლისური კლუბისთვის ამას ხელი არ შეუძლია ლიდერად დარჩენილიყო და უპირატესობაც საკმაოდ კომფორტული აქვს. სასწაული უნდა მოხდეს, რომ კლაუდიო რანიერის გუნდი მერვედფინალს მიღმა დარჩეს.

### პორტუ-ბრიუგე 1:0

<u>1:0 ანდრე სილვა (37)</u>

**პორტუ:** კასილიასი, მ.პერეირა, ფელიპე, მარკანო, ალექს ტელესი, რ.პერეირა, ერერა (რუბენ ნევეში 62), მიგელ ტორესი, ოტავინიო (ლაიუნი 70), ანდრე სილვა, ჟოტა (კორონა 71)

**ბრიუგე:** ბიუტელი, ვან რეინი, პულენი, დენსვილი, კულსი, ვორმერი, პინა, კლოდემირი, ბოლინგოლიმბომბო (ვანაკენი 65), უესლი (ისკიერდო 77), დიაბი (ლიმბომბე 46)

ბელგიური ბრიუგე კვლავაც ქულის გარეშე რჩება. პორტუგალიელებმა 37 წუთზე გახსნეს ანგარში და ანდრე სილვას გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა მატჩში.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 4 | 3 | 1 | 0 | 5-0 | 10 |
| 2.პორტუ | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 3.კოპენჰაგენი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-2 | 5 |
| 4.ბრიუგე | 4 | 0 | 0 | 4 | 1-10 | 0 |

**მომდევნო ტური**

**22 ნოემბერი:** ლესტერი-ბრიუგე; კოპენჰაგენი-პორტუ.

## ჰ ჯგუფი

### იუვენტუსი-ლიონი 1:1

<u>1:0 იგუაინი (13), 1:1 ტოლისო (85)</u>

**იუვენტუსი:** ბუფონი, დანი ალვეში, ბარძალი, ბონუჩი (ბენატია 68), ევრა, ხედირა, მარკიზიო, სტურარო, პიანიჩი (ალექს სანდრო 68), იგუაინი (კუადრადო 83), მანჯუკიჩი

**ლიონი:** ანტონი ლოპეში, რაფაელი, მამანა, დიახაბი, მორელი, ტოლისო, გონალონი, რიბუსი (კორნიე 70), ფეკირი (დარდერი 77), გეზალი, ლაკაზეტი

წაგების შემთხვევაში ლიონი ფაქტობრივად ყველა შანსს კარგავდა. მართალია, დიდად საქმე არ ქულის აღებით გამოუსწორდა, რადგან ჯერ კიდევ საბრძოლო აქვს და თანაც იუვენტუსის იმედად უნდა დადგეს.

ტურინში გონსალო იგუაინმა ანგარიში მე-13 წუთზე პენალტით გახსნა. 85-ე წუთზე ლიონელმა კორენტენ ტოლისომ გაათანაბრა და ლიონს მცირეოდენი შანსი შეუნარჩუნა.

### სევილია-დინამო (ზ) 4:0

<u>1:0 ვიეტო (31), 2:0 ესკუდერო (66), 3:0 ნზონზი (80), 4:0 ბენ იედერი (87)</u>

**სევილია:** რიკო, მარიანო, მარკადო, რამი, ესკუდერო, კრანევიტერი, ნზონზი, ვასკესი (ბენ იედერი 61), განსო (კიოტაკე 75), ვიტოლო (სარაბია 75), ვიეტო

**დინამო:** ლივაკოვიჩი, სტოიანოვიჩი, სიგალი, შინდელფილდი, ბენკოვიჩი, პივარიჩი, მაჩადო (პერიჩი 60), სუდანი (მატელი 46), პავიჩიჩი, ჩორიჩი (სიტუმი 53), ფერნანდესი

**გაძევება:** სტოიანოვიჩი (45)

სევილიამ აუტსაიდერ ზაგრების დინამოს უმასპინძლა, 4:0 გაანადგურა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსგავსი გუნდების ადგილი ჩემპიონთა ლიგაზე ნამდვილად არ არის. მიმდინარე გათამაშებაში რამდენიმე კლუბი აშკარად აფუჭებს ამინდს.

31-ე წუთზე ლუსიანო ვიეტომ ანდალუსიელები დააწინაურა, ტაიმის მიწურულს კი ზაგრებელები კაცნაკლულნი დარჩნენ. მეორე ტაიმში სერხიო ესკუდერომ თანაგუნდელთა შესანიშნავი კომბინაცია დააგვირგვინა. ხორვატების განადგურება ნზონზიმ და ბენ იედერმა გააგრძელეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სევილია | 4 | 3 | 1 | 0 | 6-0 | 10 |
| 2.იუვენტუსი | 4 | 2 | 2 | 0 | 6-1 | 8 |
| 3.ლიონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-3 | 4 |
| 4.დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 0-12 | 0 |

**მომდევნო ტური**

**22 ნოემბერი:** დინამო-ლიონი; სევილია-იუვენტუსი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

ქვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო



# პაატა იმნაძე: „გრიპის სიმპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს“

ეკა ირემაშვილი

დადგა შემოდგომა, აცივდა და სეზონური გრიპის გამოვლინების შემთხვევებმაც იმატა.
რა არის სეზონური გრიპი, რა სიმპტომები აქვთ გრიპით დაავადებულ ადამიანებს, აქვს თუ არა გრიპს გართულებები და როგორ დავიცვათ თავი გრიპისაგან? – ამ კითხვებზე „ახალ თაობას“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ესაუბრა.

***– ბატონო პაატა, რა არის სეზონური გრიპი?***

– სეზონური გრიპი გრიპის ვირუსით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებაა. იგი აინფიცირებს სასუნთქ სისტემას – ცხვირს, ყელსა და ფილტვებს. სეზონური გრიპის ვირუსი ყოველწლიურად ცირკულირებს, რაც ადამიანთა გრიპით ავადობას განაპირობებს.

***– ზოგადად, რა სიმპტომები აქვთ გრიპით დაავადებულ ადამიანებს?***

– გრიპი ხასიათდება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე მიმდინარეობით და შესაძლოა დასრულდეს ლეტალური გამოსავლითაც. უბრალო გაციებისგან განსხვავებით, გრიპი მწვავედ იწყება. მისთვის დამახასიათებელი სიმპტომებია: საერთო სისუსტე, ცხელება, ხველა, ფარინგიტი ანუ ყელის ტკივილი, ცხვირიდან გამონადენი, თავის ტკივილი, ტკივილი კუნთებში, იშვიათად დიარეა ან ღებინება.

***– როგორ ვრცელდება სეზონური გრიპი?***

– გრიპი ადამიანიდან ადამიანზე გადაეცემა ხველით, ცემინებით, ვირუსით დაბინძურებულ საგნებთან ან ზედაპირებთან შეხებით.

***– რა გართულებები აქვს გრიპს?***

– გრიპმა შესაძლებელია გამოიწვიოს სიცოცხლისთვის საშიში გართულებები, განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფებში. გრიპის გართულებებია პნევმონია, ფილტვების ანთება, ქოშინი, სუნთქვის გაძნელება, ჰიპოქსია, ციანოზი, ასევე დარღვევები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ, გონების დაკარგვა ან დაბინდვა, ძილიანობა, კრუნჩხვები, კუნთების მკვეთრი სისუსტე ან დამბლა, ორგანიზმის მკვეთრი გაუწყლოება ანუ დეჰიდრატაცია, თანმხლები დაავადებების გართულება, მაგალითად, გულის შეგუბებითი უკმარისობა, ასთმა და დიაბეტი.



ბავშვებში გრიპმა შესაძლოა გამოიწვიოს ყურის ინფექციები, სინუსიტები. ჩვილ ბავშვებს გრიპის დროს შესაძლოა განუვითარდეთ ფებრილური კრუნჩხვები, ცრუ კრუპის სინდრომი.

***– ვინ იმყოფება გრიპის მაღალი რისკის ქვეშ?***

– გრიპის მეორადი გართულებების, ჰოსპიტალიზაციისა და ლეტალობის მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან ჩვილები და ადრეული ასაკის ბავშვები, განსაკუთრებით 2 წლამდე, ასევე ორსულები და ხანდაზმულები 65 წელს ზევით, ქრონიკული დაავადების მქონე პირები, როგორებიც არიან ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით, გულის შეგუბებითი უკმარისობით, დიაბეტით, ღვიძლისა და თირკმლების ქრონიკული დაავადებებით დაავადებული ადამიანები.

***– აუცილებელია თუ არა ლაბორატორიული ტესტირება გრიპის სიმპტომების დროს?***

– გრიპის სეზონის დროს დიაგნოზი ისმევა მხოლოდ კლინიკური სიმპტომების საფუძველზე. სეზონური გრიპის მკურნალობის დანიშვნა არ საჭიროებს ვირუსის ლაბორატორიულად დადასტურებას, ვინაიდან ტესტის პასუხი ჩვეულებრივ არ ცვლის მკურნალობის ტაქტიკას.

***– როგორია გრიპის მკურნალობა?***

– არსებობს გრიპის საწინააღმდეგო ანტივირუსული პრეპარატები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გრიპის სამკურნალოდ. ანტივირუსული პრეპარატები უნდა მიიღოთ მხოლოდ ექიმის დანიშნულებით. გახსოვდეთ! თვითმკურნალობა ანტიბიოტიკებითა თუ სხვა პრეპარატებით კატეგორიულად მიუღებელია!

***– გრიპით დაავადებულთან კონტაქტის შემდგომ რამდენ ხანში შეიძლება, დაგვემართოს დაავადება?***

– გრიპის სიმპტომების გამოვლენა ჩვეულებრივ იწყება ვირუსის ორგანიზმში მოხვედრიდან 1-4 დღის შემდგომ, საშუალოდ 2 დღის განმავლობაში.



***– რამდენ ხანს არის გადამდები გრიპით დაავადებული ადამიანი?***

– უმეტესწილად გრიპის მქონე ადამიანი გადამდებია დაავადების სიმპტომების გამოვლენამდე 1 დღით ადრე და გამოვლენიდან კიდევ 5-7 დღის, ზოგჯერ მეტის, განმავლობაში. ბავშვები ჩვეულებრივ 7 დღეზე მეტ ხანს არიან გადამდებები.

***– რამდენად სწრაფად არის შესაძლებელი გამოჯანმრთელება გრიპის შემთხვევაში?***

– გართულებების გარეშე მიმდინარეობისას 1-4 დღის განმავლობაში სხეულის ტემპერატურა ნორმალიზდება და მე-7-10 დღიდან იწყება გამოჯანსაღება. გადატანილი ინფექციის შემდეგ 14-20 დღის განმავლობაში შესაძლებელია დარჩეს სასუნთქი გზების გაღიზიანება. ვლინდება ხველა, სისუსტე, გაღიზიანება ანუ ასთენიური სინდრომი.

***– თუ მოქალაქემ გასულ წელს გადაიტანა გრიპი ან ჩაუტარდა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, არის თუ არა ის წელს დაცული გრიპისგან?***

– არა. გრიპის გადატანის ან ვაქცინაციის შემდგომ ყალიბდება დროებითი იმუნიტეტი, რომლის საშუალო ხანგრძლივობა 1 წელია და მერყეობს ადამიანის ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ვაქცინაში გამოყენებული ანტიგენების შესაბამისად. ამდენად, გრიპის ვირუსისაგან თავის დასაცავად აუცილებელია ყოველწლიური ვაქცინაცია, წინა წელს დაავადების გადატანისა თუ ვაქცინაციის ჩატარების სტატუსის მიუხედავად.

***– რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს გრიპის საწინააღმდეგო აცრასთან დაკავშირებით?***

– ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ მოწოდებული რეკომენდაციების მიხედვით, გრიპის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებად ითვლება გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. საქართველოში დარეგისტრირებული ვაქცინები არის 3- კომპონენტიანი და იცავენ 3 ტიპის ყველაზე გავრცელებული ვირუსებისგან – 2 ტიპის ინფლუენზა ვირუსისა და 1 ტიპის ინფლუენზა ვირუსისგან.

***– ვის უნდა ჩაუტარდეს გრიპის ვაქცინაცია?***

– სასურველია, ვაქცინაცია 6 თვეს გადაცილებულ ყველა ადამიანს ჩაუტარდეს. განსაკუთრებით პრიორიტეტული ჯგუფებია 5 წლამდე, განსაკუთრებით კი 2 წლამდე ასაკის ბავშვები; 65 წელს გადაცილებულები; ორსულები; ქრონიკულად მოავადენი; ნერვული სისტემის დარღვევათა მქონე პირები; ადამიანები, რომლებსაც აღენიშნებათ ანემია, იმუნოდეფიციტი, შიდსი, კიბო, ჭარბი წონა, როდესაც სხეულის მასის ინდექსი აღემატება 40-ს; ჯანდაცვის მუშაკები, მათ შორის, ხანში შესულთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მომვლელები.

***– როდის არის ყველაზე კარგი პერიოდი აცრისთვის?***

– იმუნიტეტის ჩამოყალიბებას 2-3 კვირა სჭირდება, ამიტომ აცრა უნდა ჩაიტაროთ გრიპის სეზონის დაწყებამდე. საუკეთესო დროა ოქტომბერი და ნოემბრის დასაწყისი.

***– რამდენად უსაფრთხოა გრიპის ვაქცინა?***

– გრიპის ვაქცინა ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო სამედიცინო პროდუქტია, რომლითაც ბოლო 50 წლის განმავლობაში მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში 100 მილიონ ადამიანზე მეტი იქნა აცრილი გართულებების გარეშე.

***– არის თუ არა შესაძლებლობა, ვაქცინამ გრიპი გამოიწვიოს, თუნდაც მსუბუქი ფორმით?***

– არა. გრიპის ვაქცინა ვერ გამოიწვევს დაავადებას, ვინაიდან წარმოადგენს ვირუსის ინაქტივირებულ სახეცვლილ ფორმას, რომელსაც შეუძლია მხოლოდ იმუნიტეტის გამომუშავება.

***– როგორ დავიცვათ თავი გრიპისაგან და მასთან დაკავშირებული გართულებებისაგან?***

– გრიპისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებაა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაცია. განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ ორსულებმა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებმა, მოერიდეთ მასობრივი თავშეყრის ადგილებს. გრიპის სიმპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს!

როგორც ჯანმრთელებმა, ასევე გრიპით დაავადებულმა პირებმა შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანეთ ხელები საპნითა და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა, რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი და დაალაგეთ სველი წესით.

რაც შეეხება დაავადებულთა თვითიზოლაციას, თუ გაქვთ მაღალი ტემპერატურა თავის, კუნთების, სახსრებისა და ყელის ტკივილით, დარჩით სახლში, მოერიდეთ ჯანმრთელ ადამიანებთან კონტაქტს, ჩაიტარეთ სიმპტომური მკურნალობა, მიიღეთ სიცხის დამწევი საშუალებები, გარდა ასპირინისა, ტკივილდამაყუჩებლები.

თუ გამოვლინდება სუნთქვის გართულება, ქოშინი, ცხვირ-ტუჩის მიდამოს ციანოზი, მოვარდისფრო სისხლიანი ნახველი, ლეთარგია, ჩვილ ბავშვებში ძუძუს წოვის შეუძლებლობა, გაუწყლოება, ყიფლიბანდის დაძაბულობა, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, რადგან შესაძლოა თქვენ გესაჭიროებოდეთ ჰოსპიტალიზაცია და სპეციფიკური მკურნალობა.




**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160

რეჟიმი: 2

დაცულია გადახურებისგან.

**ფასი 30 ლარი**

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე);**
**ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**
**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**


## ასტროპროგნოზი
### 4 ნოემბრისათვის



**ვერძი** – გარშემომყოფებთან ურთიერთობაში გაურკვევლობა და დაძაბულობა იჩენს თავს. ემოციები აკონტროლეთ და უტაქტო გამონათქვამებს ერიდეთ. **კურო** – ცვლილებების დრო არ არის. სერიოზული საკითხების მოგვარებას დღეს პლანეტები არ გირჩევენ. **ტყუპები** – საკუთარი ძალები ადეკვატურად შეაფასეთ. მეგობრებს თქვენს აზრს ნუ შემოახვევთ. **კირჩხიბი** – ნუ იაქტიურებთ. საამისოდ არც ენერგია გეყოფათ. აკეთეთ ის, რაც გსიამოვნებთ. **ლომი** – სხვისი პრობლემების გადაწყვეტას ნუ შეეცდებით. თავი შეიკავეთ საკუთარი აზრის გამოთქმისაგან. **ქალწული** – გლობალური გადაწყვეტილებების მისაღებად სხვა დრო შეარჩიეთ. დღეს ეცადეთ, მხოლოდ წვრილმანი საქმეებით დაკავდეთ. **სასწორი** – სასიცოცხლო პოტენციალი დაბალია. დეპრესია გიტევთ, რომლის წამალიც მხოლოდ საქმეა. კარგი იქნება, თუ დაეხმარებით მათ, ვისაც ეს განსაკუთრებით სჭირდება. **ღრიანკალი** – გამორიცხული არ არის, დაგროვილ საქმეებს თავი შესანიშნავად გაართვათ, თუ, რასაკვირველია, არ იზარმაცებთ. **მშვილდოსანი** – საოჯახო პრობლემების მოგვარების დროა. შეგიძლიათ, საღამოს გაერთოთ და დაისვენოთ. **თხის რქა** – ახალი ნაცნობობა სარგებლობას მოგიტანთ. ქალაქგარეთ გასვლა, ბაღში მუშაობა, მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე სასიკეთოდ აისახება. **მერწყული** – ნებისმიერი პრობლემის მოგვარება ხელგეწიფებათ, ოღონდ ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. **თევზები** – დღევანდელი დღე ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ნუ გადაიღლებით. იზრუნეთ ჯანმრთელობაზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. ძველებური ცხვირზე დასამაგრებელი სათვალე; 2. ნიჩბოსანთა ნავის მოძრავი სკამი; 3. ქართული ხალხური ცეკვა; 4. ქართველი კინოვარსკვლავი ქალი; 6. ბერიკაობის ერთ-ერთი მონაწილე, დევის ნიღაბი; 8. ამერიკული საიუველირო ფირმა; 11. ბროშში, ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 12. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 16. უნგრული ღვინო; 17. გერმანული ავტომობილი; 18. კუთხე საქართველოში.

**თარაზულად**: 1. პირობითი ნიშანი გეოგრაფიულ რუკაზე; 5. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საბერძნეთში; 7. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილის დასამზადებლად; 9. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ქართული ტელეკომპანია; 13. მონასტერი ყვარლის რაიონში; 14. ქვანახშირის, ქვიშის გადასაზიდი თვითმცლელი სარკინიგზო ვაგონი; 15. გემის მზარეული; 19. ქართველი რაგბისტი; 20. ტვირთის მცირე სიმაღლეზე ასაწევი მექანიზმი; 21. დედამიწის მკვრივი გარსი; 22. ხუმარა, ოხუნჯი ადამიანის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. რობაია; 2. ტერცია; 3. ზედაზენი; 4. ფირუზი; 6. მალიორკა; 8. ანდები; 11. სიბარიტი; 12. უოტსონი; 16. ბორდო; 17. ღაწვი; 18. დათვი.

**თარაზულად:** 1. რევერსი; 5. მოწმე; 7. რეგალია; 9. ავიცენა; 10. კუპდარი; 13. ბოლნისი; 14. წიწაკა; 15. ბოსი; 19. ქსენონი; 20. სამთავრო; 21. პორტვეინი; 22. ფინეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბეირუთი; 2. ოკინავა; 3. გარდიანი; 4. საცივი; 5. მიამიტი; 8. კომედია; 9. მალევიჩი; 12. თალმუდი; 13. ნუსხური; 16. ჯანელიძე; 17. ტავრიდა; 19. რწყილი; 20. ნაბუკო.

**თარაზულად:** 6. რევოკაცია; 7. სალხინო; 8. კარატი; 10. გუანაკო; 11. ჟიგა; 14. მოურინიო; 15. ალავერდი; 18. კაბუკი; 21. წერაქვი; 22. ბალჩა; 23. იბერია; 24. პეტრიწონი.

# მამა პეტრე უმწეო მოხუცების დახმარებას იწყებს

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის მოძღვარი მამა პეტრე (კვარაცხელია) საქართველოში მცხოვრები უმწეო მოხუცების დახმარებას იწყებს.

ყვარლის რაიონის სოფელ გავაზში მცხოვრები 90 წლის ნაზი სეფიაშვილის ვიდეოს გავრცელება ინტერნეტში აღმოჩნდა ის უკანასკნელი წვეთი, რომელმაც სასულიერო პირს ამ საქმის წამოწყებისკენ უბიძგა.

მამა პეტრე ნაზი ბებოსთან ჩავიდა და მოხარშულ კვერცხს მონატრებულ მოხუცს დახმარების ხელი გაუწოდა. მოძღვარი ინიციატივით გამოვიდა, ერთობლივი ძალებით დაეხმარონ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად სჭირდებათ. მის ინიციატივას ბევრი ადამიანი გამოეხმაურა, მათ შორის სასულიერო პირები და კულტურის მოღვაწეები.

**მამა პეტრე:**

– ვერ მოვითმენ, რომ არ გითხრათ. მართალია, გუშინდელმა რეალობამ შემძრა, მაგრამ დღეს თვალებს სიხარულის ცრემლები მისველებს...

უამრავი ადამიანი დამიკავშირდა, სურსათი, თანხა, ჩასაცმელი გროვდება, რომ ისევ შევეწიოთ უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ მოხუცებს.

ქართული სამოციქულო ეკლესია ყოველთვის დგას უპოვართა, მიუსაფართა გვერდით. გუშინ საპატრიარქოდან დამირეკეს და ნუგეში და თანადგომა გამოხატეს...

ეს წუთია, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უწმინდესის თანამოსაყდრე, მამა სერაფიმე დამიკავშირდა, მონასტრის სახელით შეეწევა მოხუცებს...

ძალიან მალე საქველმოქმედო ფონდს დავაარსებთ და მსგავსი ღონისძიებები არ იქნება ერთჯერადი აქცია...

ჩვენ გვერდით დგანან მწერლები, პოეტები, მომღერლები, უბრალოდ, კეთილი ადამიანები, რომ გავუთბოთ ერთმანეთს ხელები...

მამა სერაფიმე, მაპატიე, ვიცი, არ მოგეწონება, შენი დაფარული სიკეთე ხმამაღლა რომ ვიყვირე, მაგრამ ეს ის მომენტია, რომელსაც მუდამ ვიყვირებ, სხვებიც რომ ავიყოლიოთ...

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*



# ოჰაიოელებმა დემოკრატების ოფისთან ნაკელი დააყარეს




ამერიკის ოჰაიოს შტატში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ნაკელი აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ოფისის წინ დაყარეს.

ამის ამსახველი ფოტოსურათი სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ბეტ გონდენფილდმა განათავსა.

– რომელი გონიერი ადამიანი ჩათვლის ამას ნორმალურად? – დაწერა სურათისთვის გაკეთებულ კომენტარში ქალბატონმა, რომელიც ქალაქ უორენში დემოკრატიული პარტიის საოლქო ფილიალის თავმჯდომარეა.

მისი თქმით, ანალოგიურ ინციდენტს 2012 წელსაც ჰქონდა ადგილი, მაშინდელი წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას.

გონდენფილდის თქმით, სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანაწერებს, რომლებზეც, სავარაუდოდ, აღნიშნული ინციდენტია აღბეჭდილი, უკვე ნახულობენ პოლიციელები. ამ აქციაზე მონაწილენი სისხლის სამართლის პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ამ ფაქტზე კომენტარი არ გაუკეთებიათ.

# პრინცმა ჰარიმ ნათესავებს მეგობარი გოგონა გააცნო

პრინცი ჰარი ამერიკელ მსახიობ მეგან მარკლის ხვდება. სამეფო ოჯახის წევრმა მეგობარი გოგონა უკვე გააცნო ძმას, პრინც უილიამსს, ასევე მის მეუღლე კეტრინს და მათი თანხმობა მიიღო.

წყვილმა ერთმანეთი მიმდინარე წლის მაისში გაიცნო, როდესაც პრინცი ტორონტოში საკუთარი სპორტული პროექტის წარმოსაჩენად იყო ჩასული. სწორედ ამავე ქალაქში მიმდინარეობს ტელესერიალ „ფორს-მაჟორის“ გადაღებები, რომელშიც მარკლი მონაწილეობს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 32 წლის უინძორების დინასტიის წარმომადგენელი უზომოდაა შეყვარებული და მეტად ბედნიერია. ჰარი ინსტაგრამში მეგანის აკაუნტის ხელმომწერთა შორისაა და მას სოციალურ ქსელში თვალს საკუთარი ანონიმური გვერდის დახმარებით ადევნებს.





35 წლის მერკლის წარმომადგენლებს ჯერჯერობით ამ ახალ ამბავზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, ხოლო კენსინგტონის სასახლეში განაცხადეს, რომ პრესასთან პრინცის პირად ცხოვრებაზე კომენტარს არ აკეთებენ.

შეგახსენებთ, რომ ადრე უელსის პრინცი ბრიტანეთის არისტოკრატიის წარმომადგენლებს ჩელსი დეივსა და კრესიდა ბონასს ხვდებოდა. შემდეგ მას მიაწერდნენ რომანს ემა უოტსონთან.

მეგანი მარკლი ცნობილი გახდა რეიჩელ ზეინის როლის შესრულებით სერიალში „ფორს-მაჟორი“, რომელშიც მას 2011 წლიდან იღებენ. მსახიობი 2011 წლის სექტემბრიდან ტრევორ ენგელსონის მეუღლეა, თუმცა მასთან 2013 წლის აგვისტოდან აღარ ცხოვრობს.

# ჩინელმა გოგონამ ნაჩუქარი აიფონები გაყიდა და ბინა იყიდა



ჩინეთის ქალაქ შენჩჟენის მცხოვრებმა გოგონამ, რომელსაც 20 ცალი სმარტფონი აიფონ 7 აჩუქეს, ისინი გაყიდა და მიღებული ფულით ბინა შეიძინა. ამის თაობაზე ინფორმაცია ინტერნეტში მისმა მეგობარმა გაავრცელა.

გოგონამ, რომლის ვინაობა უცნობია, მეგობრებთან თავი უძრავი ქონების შეძენით მოიწონა. ამისთვის კი მან ყველა თავის თაყვანისმცემელს სთხოვა, მისთვის სმარტფონი ეჩუქებინათ. გოგონას თქმით, ყოველ გაყიდულ სმარტფონში მან 115 ათასი იუანი (დაახლოებით 17 ათასი დოლარი) აიღო და მოახერხა, ქალაქგარეთ მდებარე სახლი შეეძინა.

– ახლა სამსახურში ყველა ამაზე ლაპარაკობს. ვინ იცის, რას იფიქრებენ ის თაყვანისმცემლები, როდესაც ამის შესახებ შეიტყობენ, – დაწერა ბლოგერმა. მან ასევე აღნიშნა, რომ გოგონა ხელმოკლე ოჯახში გაიზარდა და, სავარაუდოდ, მას სახლის შეძენა სწორედ თავისი მოხუცი მშობლებისთვის სურდა.

# ჯენიფერ ლოურენსის სურათების ქურდს პატიმრობა მიესაჯა



ამერიკის პენსილვანიის შტატის მცხოვრებს 18–თვიანი პატიმრობა მიუსაჯეს იმის გამო, რომ მან მთელი რიგი პირების ფოტოსურათები მოიპარა, მათ შორის ცნობილი ადამიანების. მის მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა მსახიობი ჯენიფერ ლოურენსი, მომღერალი არიანა გრანდე, მოდელი კეიტ აპტონი და სხვები.

36 წლის რაიანა კოლინსი დამნაშავედ ცნეს კომპიუტერის ინფორმაციაში არაუფლებამოსილ შეღწევაში. აღსანიშნავია, რომ გამომძიებლებს ბრალდებულის სოციალურ ქსელებში ფოტოსურათების უკანონოდ გამოქვეყნებასთან კავშირის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოუპოვებიათ. ხელისუფლების ინფორმაციით, მამაკაცი საფოსტო ყუთებს პაროლის აღდგენის თხოვნის დახმარებით ტეხდა, რომელთაც ის ეპლისა და გუგლის ტექსამსახურებს უგზავნიდა.

კოლინსი იყენებდა პროგრამას, რომლის დახმარებითაც მთელ ინფორმაციას ქაჩავდა სერვისიდან, რომელიც ინტერნეტში სხვადასხვა ინფორმაციის შესანახად გამოიყენება. გარდა ამისა, მამაკაცი ისე აკეთებდა, რომ ერთ-ერთი მსხვერპლი მას თავად უგზავნიდა ეროტიულ ფოტოსურათებს.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: ალმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი“.

# ტყის კამერამ შიშველი მამაკაცი დააფიქსირა

ამერიკელი ბიოლოგების მიერ ტყის ბინადარი ცხოველების დასაფიქსირებლად დაყენებულმა ავტომატურმა კამერებმა შიშველი მამაკაცი დააფიქსირა.

მოულოდნელი კადრები ვირჯინიის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა აღმოაჩინეს, რომლებსაც დავალებული აქვთ, რეგულარულად შემოიარონ ტყეებში არსებული სათვალთვალო პუნქტები, რომლებიც ბიოლოგიური სადგურის მაუნტინ ლეიკის მახლობლადაა განთავსებული და მეხსიერების ბარათები შეცვალონ.

სტუდენტებმა ნანახის შესახებ პროფესორ მარსელ კელის აცნობეს, რომელიც აღნიშნული პროექტის ხელმძღვანელია. აღმოჩნდა, რომ მამაკაცი ბიოლოგების მიერ დაყენებული ორი კამერის ობიექტივში მოხვდა. ამასთან, ყოველმა მათგანმა 20-მდე სურათი გადაიღო. სავარაუდოდ, უცნობმა პირმა შენიშნა სათვალთვალო კამერები, გაშიშვლდა, ოთხზე დადგა და სირბილი დაიწყო.



კელიმ ტვიტერში ყველაზე მისაღები სურათები გამოაქვეყნა და კოლეგებს მიმართა:

– აბა, ვინმეს თუ შეგხვედრიათ ისეთი პრიმატების ფოტოები, როგორიც ჩვენმა ტყის კამერებმა გადაიღო?

სხვათა შორის, მას რამდენიმე ბიოლოგი გამოეხმაურა და აცნობეს, რომ მსგავსი შემთხვევები მათთვისაც ცნობილია.

# მისის ბუმ-ბუმისთვის დედა-შვილი იბრძოლებს

ბრაზილიაში გამართულ ყველაზე ლამაზი დუნდულების კონკურსში მონაწილეობას დედა-შვილი მიიღებს.

35 წლის ბრუნა ფერასმა და 19 წლის ედუარდა მორაესმა განაცხადეს, რომ გამარჯვებაზე ოცნებობენ.

– გამარჯვება ჩემთვის ყველაფერს ნიშნავს. ის სამუდამოდ შეცვლიდა ჩემს ცხოვრებას, მაგრამ ვიცი, რომ ის დედაჩემისთვისაც მეტად მნიშვნელოვანია, – განაცხადა ედუარდა მორაესმა.

გოგონამ ასევე აღნიშნა, რომ დედის ფიზიკური ფორმით აღფრთოვანებულია და იმედი აქვს, 35 წლის ასაკში თავადაც ასეთივე მშვენიერი დუნდულები ექნება. ბრუნას თეძოების გარშემოწერილობა 109 სანტიმეტრს შეადგენს, ხოლო ედუარდასი 106 სანტიმეტრია.



ფერასი და მორაესი იმ 15 კონკურსანტს შორის არიან, რომლებიც სახალხო ხმის მიცემით იქნენ არჩეულნი ასეულობით პრეტენდენტს შორის.

კონკურსის ფინალი მიმდინარე წლის 9 ნოემბერს გაიმართება.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**პარასკევი 4 ნოემბერი**

**06.00, 14.00** ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" **07.00** დოკ/სერ. **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**გორაკთა მეფე**" **15.00, 02.10** "X სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "ეკიპაჟი" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** სოციალური თოქ-შოუ – "რეალური სივრცე" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**ძალაუფლებით თამაში**" (ბ.აფლეკი) **03.10** "ეკიპაჟი"

**08.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **09.00** დ/ფ "ბირთვული კატასტროფა-იაპონიის ტრაგედია" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მინი/სერ. "**უკანასკნელი საზღვარი**" **12.00** ტ/სერ. "**მეამბოხე მიწა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "შიგნიდან დანახული კონკორდია" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "ეპიცენტრი **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია** " **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.15** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჟამი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ. "**პატარძალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ღია ეთერი – პოლიტიკური თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**პომპეი**" **01.30** მხ/ფ "**დრაკონების აკლდამა**" **03.30** მხ/ფ "**ბაზა**" **05.10** მხ/ფ "**კარლიტოს გზა**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **20.50** ლოტო **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" **00.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/ფ "**ვარსკვლავური ომები – მეამბოხეები**" **8.30** ან/ფ ფანბოი და ჩამ-ჩამი **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**სკანდალი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00, 1.30** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** ცოლები და ქმრები **17.30** სერ. "**ახალი გოგო**", სეზონი **2,** სერია **22 18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **23.30** მხ/ფ "**ბლეიდი 3**"

**06.15** კვირიაკე **07.20** დ/ფ "ველური ბუნება" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** ლექციები მეფუტკრეობაზე **10.50** მოკ. მხ/ფ "**მხოლოდ ერთხელ**" **12.10** პორტრეტები **13.15** ერთხელ ბავშვობაში **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** სად უჩინარდებიან ჩემპიონები "ვლადიმერ გიოაშვილი" **15.50** კონცერტი **16.45** ჩვენი ფონდი **17.00** მიწათმოქმედი "წუღრუღაშენის მონასტერი" **17.20** ჩვენი საგანძური **17.40** ამბიონი-კანონების შეცვლა **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" II სერ. **20.40** ძილი ნებისა "თავგაუტეხელი კაცი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ქვიშით ამღერებული პოეზია **21.15** დროის ჩანაწერები **22.00** სიახლენი **22.25** მოგზაურობა სამშობლოში "ადგილნი თონეთისანი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა **00.35** მგზავრები წუთისოფლისა **01.00** დ/ფ "რა ხდება სიკვდილის შემდეგ" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.30** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 13.30** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" **11.00, 18.50** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 1.30** "ბიზნეს კონტაქტი" **14.30** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.10** სერ. "**ბემი**" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** მხ/ფ "**ვუნდერკინდები**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**4 ნოემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.4195
- ევრო — 2.681
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9687
- 100 რუსული რუბლი — 3.8102

## ამინდის პროგნოზი 4 ნოემბრისთვის




# ქეთოს კაბა ხელოვნების სასახლეში აღადგინეს



ქართული ეროვნული საგანძურის გამორჩეული ნიმუში, ქართული კინოხელოვნების თავისებურ სიმბოლოდ ქცეული ქეთოს კაბა ფილმიდან „ქეთო და კოტე“ 6-თვიანი სარესტავრაციო პროცესის შემდეგ ხელოვნების სასახლის მუდმივმოქმედ ექსპოზიციას ოქროსფერ დარბაზში დაუბრუნდა.

ეს ხანგრძლივი და შრომატევადი საქმე ნახევარი წელი მიმდინარეობდა. კოსტიუმს ბევრი რამ ჰქონდა სარესტავრაციო. თავიდან დამაგრდა კაბის თეთრი ბუმბული, რისთვისაც გედის ღინღლი და ბუმბულია გამოყენებული. კაბის ეს უმნიშვნელოვანესი დეტალი უმძიმეს მდგომარეობაში იყო და ბოლო პერიოდი ხელოვნური მასალით გახლდათ შეცვლილი. გამაგრდა კაბის ატლასის საფუძველი და მთლიანად გაიწმინდა.

კაბა ცნობილი ქართველი მხატვრის ფარნაოზ ლაპიაშვილის ესკიზის მიხედვით შეიქმნა. იგი დიდი ხანი კინოსტუდიაში ინახებოდა და 5 წლის წინ ხელოვნების სასახლეს გადაეცა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ზიდანმა თავისი ფეხბურთელები გააკრიტიკა



მადრიდის რეალის მთავარმა მწვრთნელმა ზინედინ ზიდანმა ლეგიასთან ფრედ დამთავრებულ შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის თავისი გუნდის თამაშით უკმაყოფილოა.

– როდესაც 2:0-ს იგებ, საქმე გამარჯვებამდე უნდა მიიყვანო. ამის გაკეთება ვერ მოვახერხეთ, ამიტომ უკმაყოფილო ვარ. ფეხბურთელებთან ერთად ამ შეხვედრას აუცილებლად გავაანალიზებ და შეცდომების გამოსწორებაზე ვიმუშავებთ, – განაცხადა ზინედინ ზიდანმა.

ლეგია-რეალის შეხვედრა 3:3 დასრულდა, რაც პოლონური გუნდისთვის ისტორიული შედეგია. უფრო მეტიც, ლეგია შეხვედრას 3:2-ს იგებდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო.

# ენდი კეროლს ბანდიტები დაესხნენ თავს



ვესტ ჰემის ფორვარდი ენდი კეროლი მეტად უსიამოვნო ისტორიაში გაეხვია.

2 ნოემბერს, როდესაც კეროლი ვარჯიშიდან სახლში ბრუნდებოდა, გზაზე ბოროტმოქმედებმა გააჩერეს და პისტოლეტით დაემუქრნენ. კეროლმა შეძლო მათგან თავის დაღწევა და ისევ თავისი გუნდის ბაზაზე დაბრუნდა, სადაც პოლიცია გამოიძახეს. პოლიციამ უკვე დაიწყო ამ საქმის გამოძიება. ჯერჯერობით სხვა დეტალები ცნობილი არ არის.

კეროლს 18 აგვისტოს შემდეგ ტრავმის გამო მატჩი არ ჩაუტარებია და ვარჯიში მან ახლახან განაახლა.

# კასპერ შმეიხელმა ტრავმა მიიღო

ლესტერის დანიელმა მეკარე კასპერ შმეიხელმა ხელის ტრავმა მიიღო, რის გამოც მან, შესაძლოა, თვეზე მეტი გამოტოვოს.

შმეიხელისთვის ეს სამწუხარო ინციდენტი კოპენჰაგენთან შეხვედრის დროს მოხდა. შმეიხელი ლესტერის შეუცვლელი მეკარეა და მან ამ გუნდის შარშანდელ ჩემპიონობაში დიდი როლი ითამაშა.



ექიმებს ჯერჯერობით საბოლოო დიაგნოზი არ დაუსვამთ და, შესაძლოა, შმეიხელს მოტეხილობაც ჰქონდეს. ამ შემთხვევაში მას საკმაოდ დიდი ხნით მოუწევს იძულებითი დასვენება.

შეგახსენებთ, რომ კასპერ შმეიხელი ლეგენდარული პიტერ შმეიხელის შვილია, რომელიც ასევე მეკარე იყო.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# იუმორი



ბიჭი გოგოს ეუბნება:

– მოდი, გახდაზე ვითამაშოთ!

– იცი რა, პირდაპირ მითხარი, ნახვა გაინტერესებს თუ გინდა, მერე მეგობრებში დაიკვეხო?

●●●

ფრანგი, რუსი და ქართველი ქალებზე კამათობენ. ფრანგი ამბობს:

– ქალი სიმღერასავითაა, უსმენ და ტკბები.

რუსი:

– არა, ქალი ფირფიტასავითაა, უსმენ, უსმენ, მოგბეზრდება და გადააგდებ.

ქართველი:

– რატომ უნდა გადააგდო? გადააბრუნე და ისევ მოუსმინე.

●●●

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– გოგო, მოდი, გავიცნოთ ერთმანეთი.

– სერიოზული განზრახვით?

– რა თქმა უნდა!

– ახლავე გავიგებ. ათასი დოლარი მინდა.

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– უკვე ერთი კვირაა, ცოლი არ მელაპარაკება.

– მერე, რას აპირებ?

– თავს ვიმტვრევ იმაზე ფიქრით, როგორ გავიხანგრძლივო ეს ბედნიერება თუნდაც კიდევ ერთი კვირით.

●●●

ბავშვი მაღაზიაში გამყიდველს სათამაშო ფულს უწვდის და ეუბნება:

– ის სათამაშო ვეფხვი მომეცით.

– ბიჭი, ეს ნამდვილი ფული არ არის, – ეუბნება გამყიდველი.

– არც ვეფხვია ნამდვილი!

●●●

ქმარი ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, 10 წელია ცოლ-ქმარი ვართ და ნაზად მხოლოდ მაშინ მექცევი, როდესაც ფული გჭირდება...

– რა? საკმარისად ხშირად არა?

●●●

კარდიოლოგი პაციენტს ეკითხება:

– რამდენ ბოთლ ლუდს სვამ დღეში?

– ოთხს.

– კი მაგრამ, მე ხომ გითხარი, ორზე მეტი არ დალიომეთქი.

– ჰო, მაგრამ თერაპევტმაც ორი ბოთლის დალევის ნება მომცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 3–4 ნოემბრიდან

აკაკი ბელიაშვილი

**თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. ტომი 1**

ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“ აკაკი ბელიაშვილის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია.

მასში მწერალი გამოჩენილი პოეტის ბიოგრაფიის ფონზე მხატვრულად და საინტერესოდ მოგვითხრობს იმდროინდელი საქართველოს სამეფო ოჯახის ცხოვრებას და საერთოდ, მე-18 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას.

რომანი ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება.







აკაკი ბელიაშვილი

**თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა. ოქროს ჩარდახი. ტომი 2**

**ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი**


# მესის კონფლიქტი მიკელ არტეტასთან მოსვლია

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ლიონელ მესის მანჩესტერ სიტის ფეხბურთელებთან კონფლიქტი მოუვიდა.

გაირკვა, რომ მესის უთანხმოება არა მანჩესტერ სიტის ფეხბურთელთან, არამედ გვარდიოლას თანაშემწე მიკელ არტეტასთან მოსვლია, რომელმაც მას გასახდელში შეურაცხყოფა მიაყენა.

მესიმ არტეტას სულელიც უწოდა, თუმცა კონფლიქტს გაგრძელება არ ჰქონია.

მიკელ არტეტამ კარიერა ერთი წლის წინ დაასრულა და ხოსეპ გვარდიოლამ ის თავის გუნდში მიიყვანა.

კარიერის დიდი ნაწილი არტეტამ ინგლისში გაატარა და ის ისეთი გუნდების ღირსებას იცავდა, როგორებიც ევერტონი და არსენალია.



# კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 2. ჩეხი კომპოზიტორი; 3. აზრთა გაცვლა-გამოცვლა; 4. წარმოების, ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის, ქონების შემფასებელი, ოფიციალური ექსპერტი; 5. გემის სამზარეულო; 8. სრული ბრუნი ცალი ფეხის თითის წვერებზე ცეკვაში; 9. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 12. გეომეტრიული ფიგურა; 13. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 16. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 19. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 17. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა საგარეო ვაჭრობაში; 20. კახეთში გავრცელებული უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად**: 6. პანიკური ჭორების გამავრცელებელი ადამიანი; 7. პოლიციელის სახელწოდება ძველად გერმანიაში; 8. რკინიგზის ხაზის სიგრძის საზომი ერთეული; 10. ქართული ლიტერატურული ჟურნალი; 11. ფრანგი კინოვარსკვლავი ქალი; 14. მოწინააღმდეგე კამათში; 15. განცალკევებული ოთახი ახლად დაქორწინებული ნეფე-დედოფლისათვის ძველად; 18. ბელგიური ავიაკომპანია; 21. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 22. მწირი, უნაყოფო ნიადაგი; 23. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 24. ლეონკავალის ოპერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

